

La Géorgie  
GEOGRAPHIE  
HISTOIRE

Indépendante

Revue mensuelle

AVRIL

1935—Nº 112

ა პ რ ი ლ ი

1935 წ.

№ 112

# დ ე მ ი ს უ პ ი ლ ე ვ ა შ ე ბ ლ ი დ

## ი ნ დ ე პ ა ნ დ ე ბ ლ ი დ

ხ ა ქ ა რ თ ვ გ მ ლ ი ს პ ა ლ ი ტ ი კ ვ რ ი პ ა რ ტ ი გ ბ ი ს ღ რ გ ა ნ ც .



გ ი რ ე ბ ლ ი დ ე ვ ა შ ე ბ ლ ი დ

(1871—1935)

## 3 0 9 რ ე ნ ზ დ ე ლ ი

ჩეენ ვწერდით ამ ადგილზედ, ივნისში 1933 წელს, რომ საქართველოს ყავს საფრანგეთში თავისი «ვე-ქილი, თავდადებული მეგობარი, მოამაგე, ჭირისუ-ფალი», და ეს იყო პირ რენოდელი, რომლის გაცი-ებული სხეული დაკრძალეს ამ სამი კვირის წინ ტუ-ლონში. ქართველი ერი მწარეთ ამოიკვნეს ამ ამბის გაგონებაზე. ის შეუერთებს თავის ცრემლს განსვე-ნებულის უერთვულეს ამანაგის ქ. ბ. რენოდელისას, მათ ძვირფას შეიღების ცრემლს.

პირ რენოდელი, დიდი ხახია, შეპყრობილი იყო შაქრის ავათმყოფობით, მისმა მაგარმა აგებულებამ მრავალი წელი ატარა ის; გამოეროდა თვეები, როცა მთლათ განკურნებული გეჩვენებოდათ, რეჟიმზეც სელს იღებდა, მაგრამ დგებოდა სხვა თვეები, როცა სენი ისევ გაუსხენებდა და იძულებულ ხდიდა გაე-წია სადმე ცხელი ქვეყნისკენ სულის მოსაბრუნებ-ლათ. უკანასკნელი მისი თავსაყდური ბალეარის ერთ-ერთი კუნძული იყო, იქ გარდაიცვალა, ხნოვა-ნებით 64 წლისა.

საყრდადებოა, რომ რენოდელის განმეორებითი ფიზიკური კრიზისი მუდამ მის ფსიქოლოგიურ კრიზისთან იყო დაკავშირებული, და ეს კი ყოველთ-ვის გამოწვეული იყო არა რომელიმე პირადი, არამედ საქვეყნო კრიზისიდან. მაგრამ აქაც ერთი გამონაკ-ლისი უნდა დავუშვათ, ფრიად დამახასიათებელი ამ არაჩვეულებრივი მოღვაწისათვის. საზოგადოთ შე-ნიშულია, რომ ფიზიკურათ სუსტი, მაგრამ სულიე-რათ ძლიერი პიროვნება სწორეთ ქვეყნისთვის საბე-დისწერო წუთში, მისთვის თავგანწირულ სამსახუ-რის დროს, სრულიად ჯანსალი და უძლევი გვევლი-ნება. ასე იყო აგვისტოს დღეებში 1914 წელს. როცა მის გულითად მეგობარს და მასწავლებელს უკორესს მკერდი გაუგმირეს და მის მიერ შექმნილ «პუმანი-ტეს» რედაქტორად რენოდელი მიიწვიეს. მთელი დიდი ომის გასწვრივ რენოდელი ლომივით თავს და-სტრიალებს საფრანგეთის მშრომელ ხალხს, მთელს ერს და იწვევს მას ბრძოლის ველზე ქვეყნის და რე-სპუბლიკის სახსნელათ. მაგრამ ჩამოვარდა ზავი, ხდება გაერთიანებულ სოციალისტურ პარტიის ყრილობა ტურში, 1920 წელს, უმრავლესობა მოს-კოვის ქვეშევრდომობას იღებს და სტაცებს რენო-დელს ხელიდან «პუმანიტეს»! რა თავზარდამცემი უნდა ყოფილიყო მისთვის ეს საშინელი აქტი?! რე-ნოდელს ძალა უმტყუნებს, საცაა უნდა წაიქცეს, მა-გრამ არ ნებდება, გადის ხალხში სააგიტაციოთ, ამ

დროს დეპუტატიც არ არის, და რამდენსამე წელში უმცირესობა მეორე უძლიერეს პარტიად იქცევა, სტოვებს რა ძალიან შორს კომუნისტურ პარტიას. მე 30 წლებში თითქო ახლად დაბადებულს პგავს, ჯანსალი სულით; რენოდელის ხმა კვლავ სჭექს ბურ-ბონის სასახლეში.

მაგრამ ჩეარა ისევ იჩენს უთარემოება თავს ძლი-ერ პარტიაში. მას ას დეპუტატზე მეტი ჰყავ', პალა-ტაში და დიდი უმრავლესობა რენოდელის ხახს იზი-არებს, ხოლო პარტიაში, მის ორგანოებში, წინამ-დეგი მიმართულება ბატონდება. იწყება ძმათა ჭი-დილი, რომელიც თანდათან უფროდაუფრო მწვავი და აუტანელი ხდება. ბოლოს საქმე იქამდის მიდის, რომ რენოდელს და მის მეგობრებს პარტიიდან რი-ცხავენ, იმ პარტიიდან, რომლის ერთი მთავარი და-მარსებელი და შემდეგ აღმდგენ თვითონ იყო! შე-უძლებელია მეთაურში ამ ბრძოლის მთავარი ეპი-ზოდების უბრალო აღნუსხვაც. აღნიშნავთ მხო-ლოდ, რომ განხეთქილების მიზეზი, თუ გარეგნულათ არა, არსებითათ ივივე იყო, რაც 1920 წელს. უკანას-კნელათ, განსაკუთრებით ეკონომიურ კრიზისის და-წყებიდან, საფრანგეთის სოციალისტურ პარტია სულ მარცხნივ ისრება და სოციალისტურ რევოლუ-ციისკენ მიემართება, ეს აახლოებს მას ბოლშევი-კურ ტაქტიკასთან და ბოლოს. როგორც ვიცით, სა-ერთო ფრონტშიც შედის საფრანგეთის კომუნის-ტურ პარტიასთან. რენოდელი თავიდანვე შეურიგე-ბელი მტერი იყო ბოლშევიზმის, ყოველგვარი დიქ-ტატურის და მოითხოვდა სხვა დემოკრატიულ პარ-ტიებთან თანამშრომლობას არა მარტო არჩევნებში, არამედ მთავრობაშიაც. ასეთი ტაქტიკა მით უფრო სავალდებულო იყო, რენოდელის აზრით, რომ რე-პუბლიკანური წყობილება და თვით ქვეყანა დიდი ხილათის წინ იდგა და სდგას. ამრიგათ, ქვეყნის და-ცვა, მისი ინტერესების პარტიის ინტერესებზე მაღ-ლა დაყენება—აი რა იყო მისი პოლიტიკის ერთ-ერთი ქვეყუთხედი.

გამორიცხულებმა ახალი პარტია დაარსეს, კო-რესის პარტია, მაგრამ, საუბედუროთ, აქაც არ ეწია რენოდელს კარგი ბერი. შემადგენლობა, ცოტა არ იყოს, ჭრელი გამოდგა. მათი ნეო-სოციალიზმიც, ბევრში დიდათ საყრდადლებო და მოსაწონი, ბლუ-მის ორტოდექსიასთან შედარებით, პოლიტიკაში მოიკოჭებდა. ამის მაჩვენებელი იყო ადრიან მარ-კეს, რენოდელის საუკეთესო მეგობრის და მოწაფის,

პარტიის დაუკითხავათ დუმერგის მთავრობაში შესვლა და შემდეგ მისი პარტიიდან გასვლა. რენოდელს სენი ერევა, ვერ იღებს აქტიურ მონაწილეობას ვერც პარტიულ, ვერც სხვა მუშაობაში, უძლურია რამე გამოასწოროს და ეს გარემოება კიდევ უფრო აჩქარებს მის საფლავში ჩასვლას.

რენოდელის ეს ძალიან მკრთალი დახასიათება ერთ კითხვას მაინც მიუგებს, რატომ გახდა ის ასეთი შეკრძინებული «ვექილი», როგორც მას ეძახოდნენ პალატაში, ასეთი უანგარო მეგობარი ქართველი ერისა. თვითონ აღგნებული პატრიოტი, ამ სიტყვის უკეთილშობილესი გაგებით, მას არ შეეძლო გულგრილათ შეხვედროდა ქართველ ერის უფლებათა ასე ვერაგულათ ფეხქვეშ გათელვას, იმ ქართველ ერის, რომელიც თვითონვე ნახა თავის თვალით, მარკესთან ერთათ, დაკვირდა, იწამა, შეიყვარა. ვინც იცნობს მის განუწყვეტელ საქმიანობას საქართველოსთვის, მის გაუთავებელ ნაბიჯებს სამინისტროებში, ვისაც უნახავს მისი გამოსვლები პალატაში, ან კიდევ სასამართლოებში უბრალო მოწმედ, მისი დაუზოგველი შეკამათება მოსკოვის აგენტებთან, ისევ და ისევ ქართველი ერის უფლების დაღირების დასაცავათ,—ის მხოლოდ ერთს ინატრებდა: კიდევ ბევრი ასეთი ქართველი!—უცხოელთა შორის ხომ უიმედოა მხგავსი მეორე დამცველის პონა.

ქართველი ერი ლირსეულათ იგლოს საფრანგეთის გამოჩენილ შვილს, ჯერ ის კიდევ ბორკილებულია, რენოდელი ვერ მოესწრო მათ დალეჭვას, მაგრამ ეს დღეც და დაგება და განთავისუფლებული, მაღლიერი საქართველო ძეგლს დაუდგამს მის უებარ მოამაგეს. ქართველი ემიგრაცია არ დაიციტებს იმასაც, რომ პარიზიდან უკანასკნელათ წასვლის წინ, ღონიშმინდობა რენოდელმა ერთხელ კიდევ გააკეთა ნაბიჯი, რომელსაც უნდა მიეწეროს, უმთავრესათ, ემიგრაციის უფლებრივი მდგომარეობის განმტკიცება საფრანგეთში.

## ილლუზიები და სინამდვილე

თუ წინა წლებში ევროპაში მეტისმეტად ერთიდებოდათ საბჭოთა წყობილების კრიტიკა (ხოლო ზოგგან ეს ალკოლური იყო), ეხლა ამგვარი—ასე ვთქვათ—ნეიტრალობა «მოდიდან» გადაიის. ამ მხრივ ინტერესს არ არის მოვლებული ის, რასაც ამ უამად ადგილი აქვს იტალიაში; ფაშისტური მთავრობა იმ თავითვე თავისებურ მეგობრულ პოლიტიკას მისდევდა კომუნისტურ რუსეთისადმი, ხოლო უკანასკნელ სამი წლის მანძილზე ამ სახელმწიფოთა

შორის განწყობილება თითქმის დამოყვრებას ეთანხმებოდა. რა იყო ამისი მიზეზი? რა მოსახრებანი ამოქმედებდენ იტალიას, თავის ანტიპოდს რომ მჭიდრო კავშირით ეკვროდა? რომელ იღუმალმა ძალებმა მიიყვანეს ესლა ეს ქვეყანა მოსკოვთან, როცა რომ ისტორიულად ის თითქმის ყოველთვის რუსეთის საწინააღმდეგო დაჯგუფებებში იღდა? ამ კითხვებზე კმასაყოფელ პასუხის მიგება საგანს დაგვაშორებდა; დაკვამაყოფილდეთ ერთი შენიშვნით ბუნებით ლარიბი იტალია მძიმე ომმა უფრო დააქვეითა, კომუნისტურ რუსეთში კი მას «ოქროს მთები» ელანდებოდა. პერსპექტივა ერთის შეხედვით მართლაც წარმტაცი უნდა ყოფილიყო: იტალიას შემოაქვს ის, რაც ნამეტნავათ აკლია—ნაგოთის პროდუქტები, ხეტყე, ხორბალი; ნაცვლად ამისა ის ბაზარს უსსნის საქმარისად წინწარებულ თავის ნაციონალ ინდუსტრიას... ქალალზე ყველაფერი ჩინგა და წესზე იყო, და აი როცა ანგარიშის ყველა წესზე შედგენილი შრავალ თვეთა მუშაობის გამოკვლევანი სინამდვილეს მიუყენეს და მიკვდინენ, როგორის სისწრაფით იშრიტებოდნენ «სიმღიდრის გორები», ძნელი აღარ გახდა იმისი გაგებაც, რომ მოსკოვის თიხისუფებიან კერპს ვერც მომავალში რაიმე ფარსაგს გამოაყრევინებ. ეკონომიკიდან განიდევნა ილუზია და ზედნაშენებმაც» თქვენი ჭირი წაიყოლე... იტალია თანათანაბით ზურგს აქცევს საბჭოთა რუსეთს. მმართველთა წერებში აქ ის აზრიც შეიჭრა, რომ ღრმა რუსეთის მთლიანობისათვისაც აღარ მუშაობს; ცენტროფუგალი ძალები იზრდებიან და ემზადებიან მოსკოვის ულლიდან ემანსიპაციისათვის.

გასულ თებერვალს რომის აღმოსავლურ ინსტრუტში ახალგაზდა მეცნიერმა, ფაშისტურ პარტიის წევრმა და პარლამენტის დეპუტატმა ბატონ ბარბიელინი—ამიდებიმ წაიკითხა ლექცია «კავკასიის სახელწოდებით. მიუხედავათ ამ სათაურის, ლექცირი სულ ორიოდე სიტყვით გაკვრით შეჩერდა კავკასიის დანაშენებსა და სახელმწიფოებზე: საუბარიცა და «ბუნდოვანი სურათებიც» მხოლოდ საქართველოს ეხებოდნენ. ლექცირმა საქმარისი ცოტნა გამოიჩინა საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაში, ლინგვისტიკაში და ეთნოგრაფიაში; შესწავლული აქვს აწ განსვენებული აკადემიკოსი ნიკო მარის იაფეთიძოლოგიაც. დღევანდელ სახის საქართველოს დეპუტატი გასცნობია იქვე—ადგილობრივ, როგორც თანამგზარი სამი წლის წინათ საბჭოთა კავშირის შესასწავლათ გამზარებულ იტალიურ საპარლამენტო და სამრეწველო ჯგუფითა. ესევ გარემოება შიგაღაშიგ კიდევაც იჩენდა თავს მის ლექციაში: ეცნოდა, რომ ზოგიერთ კითხვის გარკვევაში დეპუტატი ვერ დაეძლია კომუნისტურ «გიდის» ინფორმაცია.

საბჭოთა კავშირის სამსრუთ ნაწილში საქართველო—განაცხადა ლექცირმა—ყველაზე დაწინაურებული კუთხეს; საქართველო საუკუნოების განმავლობაშიც ჰეგემონი ყოფილა მთელს კავკასიაში და ასეთათვე იქნება მომავალშიაც. რიცხვის სიმცირე ვერ დააბრკოლებს ქართველების ღიღ კულტურულ გავლენას და შეიშვნელობას შექმნებულ ხალხთა შო-

რის. მცხოვრებთა რაოდენობის თაობაზე ლექტორების ლიმილით შეკნიშნა, რომ არა ქართველებს ტენდენცია აქვთ შეამცირონ მისი რიცხვი, ხოლო ქართველები ასევე აზვიადებენ თავის თვლასათ. თვით ლექტორებს საქართველოს შეცხოვრებთა რაოდენობა სამ მილიონამდე აჰყავს. მომხსენებელმა არ დასტოვა განუხილველათ არც ერთი შტო ქართველი ერისა; მცირე ბუნდოვანობა ეტყობოდა მხოლოდ, როცა აუდიტორიას უხსნიდა ლაპებისა და აქართველების ვინაობას.

რა პოლცესი ხდება დღეს საქართველოში? საით იხრება ხალხის პოლიტიკური იდეალი? დამთავრდა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის? შეურჩდა ხალხი რუსეთის ხელახალ მოსვლას? შეეგუა ქართული სულისკვეთება მოსკოვიდან მოჩეჩებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილებას?

ამ კითხვებზე ბევრ რამეს საგულისხმოს შეიტყობდა საქმეში ჩახელული მსმენელი, თუმცა ლექტორი ზოგ-შემთხვევებში გაურბოდა საგანთა და მოვლენათა კონკრეტიზაციას გასაგებ მიზეზთა გამო.

ერთი გარემოება—სტევა დეპუტატმა—თვალში გეცემათ მყისვე, ჩახალოთ თუ არა საქართველოში: ეს არის წრეს გადასული გატაცებული ნაციონალიზმი, დაცვა მთელის ახსებით ყოველივე იმისა, რაიცა ქართულის სახელს ატარებს. ეს მომენტი იტალიელ მეთვალყურებისთვის არ არის მაინცადამაინც უარყოფითი, იგი მაჩვენებელია ქართველ ერის ხანდასმულ სახელმწიფოურ არსებობისა ერთის მხრით და გამუღმებულ ომებისა ურიცხვ მტრებთან მეორის მხრით.

დეპუტატს უსაუბრინია ბევრ ქართველთან—არა კომუნისტთანაც და კომუნისტთანაც; მას გამოტანია შთაბეჭდილება, რომ ყველა ქართველი დამოუკიდებლობის მომხრეა. ქართველი—განაგრძო ლექტორმა—კომუნისტურ რეუიშმი პპრებს ერთგარ საფეხურს, რასაც უცხველა მოედენება სრული თვითმყოფობა. ერთ ქართველ კომუნისტს უთქვამს ბ-ნ ამიდეისთვის, რომ იმ დროს, როცა სამეცნ რუსეთი ყველისთვის აჩანაგებდა, ეხლანდელ პირობებში სამაგიერო დიდი სარბიელი გახსნილი ეროვნულ ნიადაგზე მუშაობისათვის: სკოლაში, დაწესებულებებში, პრესაში. ყველაფერი გვაქვს, რაც წინათ გვაკლდა. ქართველი ეროვნული იწვრთნება და ვითარდება, მან იცის, რომ შორს არ არის დრო, როცა თვითმყოფა ამოუდება თავის მიწა წყალს მოსავლელათ... წარმოიდგინეთ—წარმოიდასა დეპუტატმა—ტფილისში ამ უამად ქართული უნივერსიტეტი არის და სამეცნ რუსეთის დროს კი ამაზე ფიქრიც შეუძლებელი იყო (დეპუტატი ამ სტრიქონების დაწერმა განუმარტა, რომ უნივერსიტეტი საქართველოს დედაქალაქში დაარსდა 1917 წელს... ბუნდოვან სურათების ახსნისას ლექტორმა შეასწორა თავისი შეცდომა). დეპუტატი მეტად გაოცებულია იმ ფაქტითაც, რომ ტფილისის უნივერსიტეტი ითვლის სუთითათა მოსწავლეს: სამ მილიონ მცხოვრებზე ხუთიათასი სტუდენტი, —ეს ხომ კეთილდღეობა-

ში მყოფ ხალხსაც შეშურდებაო, განაცხადა მან!

მომხსენებელმა დრო დაუთმო ანბანისა და საზოგადო «შრიფტის» საკითხსაც. ის, რა თქმა უნდა, იმ შეხედულებისაა, რომ ყველა ხალხი აღრე თუ გვიან უნდა გადაიდეს ლათინურ შრიფტზე. იშვიათად თუ სადმე წაწყდებოთ—დასძინა დეპუტატმა—საკუთარ ანბანის ისეთს ფანატიკოსებს, როგორიც არიან ქართველებიო!

რა შევვიძლიან ვთქვათ ამაზე? თუ იტალიელი მოგზაური განციფრებით ალინშნავს ქართველების ფანატიკურ კერპობას ქართულის დაცვასა და შენახვაში, ჩვენ—ჩვენის მგრით—სიმოვნებითა და სიხარულით ხელს ვაწერო ასეთს «ფანატიკოსებაზე»! ენაცა და «მრიფეტიც» ხელოვნურად შეკოწიწებული კათეგორია როდი არის, რომ მათ ასე იოლად გამოეთხოვოს ერი. ისტორიის გრძელ მანძილზე შემუშავებულ და შესისხლობულ ფოსებების უარისყოფა პირიქით ერის უკულტურობისა და ფუქსატობის დემონსტრაცია იქნებოდა...

მაინც რა მოსაზრება უნდა გვაიძულებდეს, რომ ქართული ანბანი ლათინურს ვანაცალოთ? მაგრამ ვიკითხოთ, რა უპირატესობა აქვს ამ უკანასკნელს ქართულთან შედარებით? ის, რომ ლათინურ ანბანს მთელი ევროპა და ამერიკა ხმარობს? მაგრამ ამ მოტივს რა აქვს საერთო ენათმეცნიერებასთან?!

თავის მოხსენებაში დეპუტატი-ლექტორი არა ერთ გზით პატივისცემით იხსენიებდა მარჩს, როგორც შესანიშნავ ლინგვისტსა და სწორუბოგარ ავტორიტეტს იაფეტიდოლოგიაში. აი რა სიტყვებით ახასიათებს ეს მეცნიერი აკადემიკოს ქართულ ანბანს: «ქართულმა ანბანმა მიაღწია იმ სისრულემდის, რომელიც ქართულ ასოთა გამოსახვას ჰქმნის ფონეტიკურ სისტორიას ნიმუშათ ენის ცხოველ ბგერათა სავსების გადმოცემისათვის».

თავის ერთობ შინაარსანი ლექტივია დეპუტატმა დაამთავრა იმ რწმენით, რომ არსებულ პოლიტიკურ პირობებს დროთა გამოხმავი შესცვლის საქართველოს სახელმწიფოური დამოუკიდებლობის აღდეგნა.

ასევე საინტერესოთ შერჩეულმა ბუნდოვან სურათებმა მაყურებელს თვალწინ გადაუშალა მთელი საქართველო ბათუმიდან მოყოლებული ხევსურეთით გათავებული.

დღეს უცხველისათვისაც ცხადზე უცხადესია, რომ ქართველი ერის პოლიტიკურ იდეალს ვერავითარი სიდუბჭირე ვერ შეპხრის! მისი გარდაწყვეტილება გარდაუვალია!

გრგვინვა ხალხისა ბოლშევიკურ ცხრაკლიტურიდანაც ისმის!

ეს ჩხა თანასდევდა უცხოელ მეთვალყურეს შაგი ზღვის ნაპირიდან დარიალის ხეობამდის...

რ. ინგილო.

„ძველი ჭიშნი ძველის ამბით“  
საქართველო

ამ წიგნს ჰქვიან: 1. «წერილები კავკასიასა და საქართველოზე. 2. მგზავრის წერილები სპარსეთზე»— ვილჰელმ ფონ-ფრაიგანგისი. ეს ფრაიგანგისი, ფილოსოფიის დოქტორი, გერმანელი მწერალია და რუსეთის დიპლომატიურ სამსახურში იმყოფება. რუსეთის მთავრობის დავალებით ის მიემგზავრება სპარსეთში ფეტ-ალი-შაპის მემკვიდრესთან—აბას-მირზასთან—მოსალაპარაკებლად. კავკავის გზით ის და მისი მეუღლე ჩადიან ჯერ ტფილისში, სადაც ცხოვრობენ 1811 წ. ნოემბრითან 1812 წ. მაისამდე. პირველი ნაწილი ამ წიგნისა შესდგება იმ წერილებისაგან, რომელთაც ფონ-ფრაიგანგისის მეუღლე დღიურის სახით თავის მეგობარს უგზავნის და თავის შთაბეჭდილებებს კავკასიასა და საქართველოზე უზიარებს. მცირე ნაწილი შეეხება თვითონ ბ. ფონ-ფრაიგანგისის მოგზაურობას სპარსეთში და იქ მიღებულ შთაბეჭდილებებს. როგორც მეორის ისე პირველი ნაწილის ნამდვილი ავტორი ბ. ფონ-ფრაიგანგისია. ამ შემთხვევაში ჩვენ უფრო, რასაკვირველია, პირველი ნაწილი გვაინტერესებდა და მისი საყურადღებო ადგილები მინდა გავაცნო ქართველ მყითხველს. ეს წიგნი გამოსულა პამბურგში ჯერ ფრანგულ ენაზე 1816 წ., შემდეგ გერმანულად 1817 წ. წიგნი დასურათებულია და დართული აქვს ამიერ კავკასიის და საქართველოს რუკა.

... დაუშეთი, ანანურიდან 18 ვერს, 25 ნოემ. 1811 წ.

«ამ დილით ჩვენ დაუტოვეთ ანანური. ის პატარა, მაღლობზე გაშენებული სიმაგრეა ისე, როგორც დუშეთი, სადაც ჩვენ ეხლა ვიმყოფებით. აქ ჩვენ ჩამოხტოთ საქართველოს სახელმისამართის მეფის ერეკლეს ყოფილ სასახლეში. სასახლე სრულ ოთხეულებს წარმოადგენს, რომელსაც ირგვლივ ბალკონი უვლის. შენობა შესდგება ერთ დიდ დარბაზისაგან (მუაში), რომელსაც მრავალი პატარა ოთახი არ ტყავს. ფანჯრები ყველა უშუშოა, მაგრამ დიდი ხელოვნებით ამოჭრილი. იატაკი ქვის არის. დგამი არ მოიპოვება, გადარჩენილა მხოლოდ რამოდენიმე ხალიჩა და ბალიში. დიდის მოწინებით, დალგრემილ ფიქრებში გართული, ვათვალიერებთ ჩვენ დიდ მეფის საუდიენცო დარბაზს და სასამართლო ოთახს...»

სასახლის ბალკონიდან მშვენიერი სანახაობა იშვება თვალშინ, და, იშვე გარეშე, რომ აქ დასვენება ზაფხულობით მეფის გვარეულობისავის მეტად სასიმოვნო იქნებოდა.

ეს დიდი, ძველი, — ეხლა ასე მიტოვებული — სასახლე გვაგონებს იმ ზღაპრულ შენობებს, რომელთაც ჩვენ მხოლოდ რომანები აგვიწერენ ხოლმე. მოხუც ერეკლეს ბინა აღიძებს ჩემში ღრმა და მწუხარე ფიქრებს ამა ქვეყნის ამაოებაზე: ერთხელ, წინეთ ცხოვრობდა აქ ძლიერი და სახელმისამართის მეფე; — ეხლა ჰყარი, რომელიც მის საფლავსაც არ ასვენებს, განუწყვეტლივ იმის ცდაშია, რათა მისი ძვირფასი ფერფლი ბინძურ მტკერს შეუერთოს; — აქ, სადაც ერთხელ ტემპერამენტები ერთმანეთს ეხეთქებო-

დენ; ეხლა სიწყნარე, სიჩუმე და მოწყენილობა მეფობენ — და ეს უხარმახარი შენობა-ბინა ერთ დროს ბრწყინვალე, მრავალრიცხოვან მეფის ოჯახისა, ძეგლი წარსულ დიდებისა — დალოილ მგზავრთა თავშესაფარად გადაქცეულა...»

ჩვენ გვემსახურება ერეკლე მეფის ყოფილი მზარეული... საჭმელი მსუბუქია, ადვილად მოსანელებელი: ბოზბაში, მწვადი, აირანი (დაკვეთილი რძე), ხილი, ტკბილეულობა და ხილის წვენით ნარევი წყალი.

მცხოვა, დაუშეთიდან 16 ვერსტი, 26 ნოემ. 1911 წ.

... ჩვენი დღევანდელი მგზავრობა ძლიერ სასიამონი იყო. შეუდარებელია საქართველოს ბუნება. მშვენიერი დარი და იმედი, რომ ჩვენი ხანგრძლივი მგზავრობა დღეს გათავდება, გვაცოცხლებს, გვახარებს... მივუახლოვდით ძველ მცხეთის ძველ მონასტერს, რომელშიდაც დღეს კარისტინია... ვკვრელ მტკარსა, რომელსაც აქ არავი უერთდება, და ვფიქრობ საქართველოს დედა-ქალაქებზე — მცხეთასა და ტფილისზე, — რომელიც მის ნაპირებზე გაშენებულან. — მცხეთა საქართველოს ისტორიული ქალაქია, მისი ძველი რეზიდენცია... და ვინც დღეს მცხეთას ნახავ თავისი ასიოდე შენობით, სადაც ქართველები და სომხები ცხოვრობენ უსაშინელეს პირობებში, — ის არ დაიჯერებს, რომ ეს ქალაქი ერთ დროს უცდათი ვერსტის სივრცეზე იყო გადაჭიმული და თავის დასაცავად 80.000 მეომარი ჰყავდა». — აქ მოყოლილია მცხეთის, — საქართველოს ისტორია.

ტფილისი, მცხეთიდან 23 ვერსტი, 28 ნოემ. 1811 წ.

... «დავტოვეთ მცხეთა, გადავლახეთ ძველი ხილი მტკარზე და გავყვევით ტფილისისაკენ მიმავალ გზას... რა მშვენიერებაა, რა სიმნივებას გრძნობს ადამიანი!.. აი ტფილისიც გამოჩნდა მტკარის ორსავე ნაპირზე გადაჭიმული... შეუდარებელია ეს სანახაობა, — განსაკუთრებით, როდესაც მზის სხივები დაპქათქათებენ საქართველოს დედა-ქალაქს და მის მრავალ კუშებსა და ეკლესიებს ანათებენ...»

გვერალ-გუბერნატორის სასახლე დიდი და ლამაზი, ნახევრად ევროპიულ სტილით ამართული შენობაა, თვით ტფილისიდან ნახევრად ვერსტით დამორჩებული და მაღლობზე წამოჭიმული. იქვე ახლო ახალი ჰოსპიტალია. როგორც პირველი, ისე მეორე მტკარის მარჯვენა მხარეზე იმყოფება. ჰოსპიტალის ასეთ მდებარეობას ის დიდი უპირატესობა აქვს, რომ აქ უკეთესი ჰაერია... და მასთან ქალაქის ეს ნაწილი უფრო დაზღვეულია შავი ჭირისაგან, რომელიც ხშირი სტუმარია საქართველოში. უკანასკნელად ის 1810 წ. მოედა ამ მრავალ-ტანჯულ ხალხს და მრავალი იმსხვერპლა. დიდი ზიანი მიაყენა ამ ავათმოფობაზ მაშინ რუსის ჯარს, რომელიც ოსმალების ციხეს ახალციცეს უტევდა». აქ მოყოლილია ტფილისის ისტორია. — «გარდა ქართველებისა, რომელიც უმრავლესობას შეადგენენ და მართლ მადიდებელი არიან, საქართველოში ცხოვრობენ სომხები, ებრაელები, სპარსელები. სომხები, რომელიც უზრუებისა და სპარსელების შიშით საქართველოს

თავს აფარებდენ, შეადგენენ დღეს მცხოვრებლების ერთ მეოთხედს;—მათ ხელშია ამ მხარის თითქმის მთელი გაჭრობა...

უმრავლესობის სალაპარაკო ენა ქართულია, მაგრამ ძლიერ გავრცელებულია აგრეთვე სპარსულიც, განსაკუთრებით მაღალ ფენჯში. სპარსული ენის და ზენ-ჩეველების ცოდნა და წაბაძეა მაჩვენებელია აქ გავრცელებული შეხელულებით კარგი აღწრდის, განათლების...

ძეირფასო მეგობარო! დღეს ეს მშვენიერი ქალაქი მხოლოდ ნანგრევების საშინელ სურათს წარმოადგენს; ის ძეგლია იმ უმაგალითო მოოხრების, რომელიც მას სპარსელმა აღა მაჰმად-ხანმა მიაყენა»...

ტფილისი, 3 დეკემბერი 1811 წელი:

... «ჩემი სარწმუნოებრივი მოვალეობა რომ აღმესრულებინა, ვესტუმრი უპირველეს ყოვლისა კათოლიკების ეკლესიას. დიდია ის, დამაზიც, მაგრამ არაფრით ლიტუსტესანიშნავი. მართლ-მადიდებელთა ეკლესია—სიონი, ქართველთა სიწმინდე გაცილებით უფრო დიდი, დამაზი და ლირს შესანიშნავია. ყველა დიდ დღესასწაულებს აქ ისდიან ხოლმე. ამათ გარდა კიდევ სსვა მრავალი ეკლესია ტფილისში, —თითქმის კყელა მართლ-მადიდებელი.

კყელაზე მეტი ინტერესი ჩემში ამ ქალაქში ბაზარში და ქარვასლამ გამოიწვია.

წარმოიდგინეთ ერთი გრძელი, ვიწრო, მიხევულ-მოხევული ქუჩა, რომლის ორივე მხარე დაკავებულია პატარა, უმთავრესად, ხის შენობებით, რომელთა სახურავი ქუჩის სრულებით პფარავს. აქ ნახავთ ყოველგვარ საქონელს—ქართულს და სპარსულს—: ხალიჩებს, შალს, აბრეშუმის ნაქსოვებს და სხვ.

ბაზარი ცოცხალი, ნამდვილი მხატვრული სურათია, მაგრამ თვით ადგილი მეტად ვიწრო და ბექლი. ყურძენი, ბროწეული, ბია და მრავალი სსვა ხილებული ჩამოყიდულია, მშვენიერად აკინძული, ამ პატარა სავაჭროების. სახურავების ქვეშ მთელი ქუჩის გასწვრივ.

აქედან გადადიხართ ქარვასლაში, სადაც სპარსელ, თურქ და სომებ გაჭრებს გამოიუფენიათ ორიენტალური სიუხვით აქროთ და ვერცხლით ნაქარგი საქონელი და სსვა ძეირდესულობა. სანახაობა მართლა მიმზიდველი სილამაზისაა, მაგრამ გიკირს, რათ არის ასე უხვად გამოფენილი ასე ძეირი...

ზის ფეხმორთხმული ორიენტალი გაჭარი მშვიდად, აუჩქარებლად ეწევა თავის ყალიბის და უცდის, უცდის მყიდველს აპატიური... მაგრამ საკმარისია გამოჩნდეს ასეთი,—და ჰქება სიმშეიდე. აუჩქარებლობა—სიცოცხლით სავსე ბუნება, მისი სიმკვიდრე, ტემპერამენტი და ლაპარაკში დაჯერების უნარი წამსვე აშკარავდებიან...

საქართველოში მხოლოდ ოქროს და ვერცხლის ფული ტრიალებს; უმცირესი ღირებულების ნიშანი აბაზი და ორი აბაზია. ერთი აბაზის ღირებულება 8-10 გროშს უდრის \*). ნაკლები ღირებულების ფული მე აქ არ მინახავს. წარმოიდგინეთ მათხვარსაც

\* ) საქსონიის ფულის ნიშანი,

ვერ მისცემთ აბაზზე ნაკლებს. აქედან ის დასკვნა არ გამოიყავანოთ, რომ საქართველო ელდორდოა, სადაც ოქრო და ვერცხლი თავსაყრელია;—პირიქით, —ფული აქ ძლიერ იშვიათია, ძვირი და სილარიბე საშინელი...

ძველი ქვის ხილი აერთებს ქალაქს ერთ დამაზ მაღლობთან მტკვრის მარცხენა მხარეზე, რომელსაც ლაბარი ჰქიან. ამ ხილიდან იშლება მშვენიერი, მრავალფეროვანი სანახაობა:—ერთი მხრით მოსახლე ჩქარი მტკვარი, გენერალ-გუბერნატორის სასახლე და მაღლობზე გაშენებული არსენალი, დაბლა ჰოს პიტალი, ბოტანიკური ბაღი, არტილერიის შენობა და—შორს, შორს—კავკასიონი მთელი მისი თეთრი, ბრწყინვალე დიდებით; მეორე მხრით ქალაქი, ციხე, სახლები, ნანგრევები, ბაღები... და იქ, მთის შუაგულში, განმარტოებით თეთრი ეკლესია, სიმწვანეში გახვეული, სადაც ყოველ კვირას და დღესასწაულს დიდადიან ხალხი იკრიბება, რომ წირვის შემდეგ დასტყვებს კარგი ჰაერით და... ტფილისით.

მეფე ერეკლეს დროს ტფილისში ყოფილა 4.000 სახლი 20.000 მცხოვრებით. ესლა, ტფილის ახალების და შავი ჭირის მდებრივების შემდეგ, სისწორით არ შემიძლია ვთქვა რამდენი მცხოვრები ჰყავს და რამდენი სახლი აქვს კიდევ ამ მრავალ-ტანჯულ ქალაქს»...

ტფილისი, 7 დეკემბერი 1811 წელი.

... ტფილისის გოგირდის აბანო რაღაც არა-ჩეველებრივია; ცხელი წყალი მოდულს კლიფიდან და ძლიერ სასარგებლოა. ასეთი აბანო აქ ათია, —ყველა ქალაქ გარედ. სითბო ამ აბანოებისა სხვადასხვა: 20-დან 30 გრადუსამდე რეომურით. ერთია მხოლოდ 15 გრადუსიანი; მე ის ვარჩინ და ვატყობ მომისდა,—ასეთ მგზავრობის შემდეგ თავს კარგად ვერძნობ. რამდენად უფრო ცხელია აბანო, მით უფრო სასარგებლოა. ვსინჯე 30 გრადუსიანი რევმატიზმის წინამდევ მაგრამ სიცე ისეთი დიდი იყო და გოგირდის სუნი ისეთი ძლიერი, რომ ვერ გავუძელ...

მაღალი წოდების ქართველები, განსაკუთრებულით კი მანდილოსნები კვირაში ერთ დღეს აქ ატარებენ, ხშირად დამესაცა: ბანაბენ, იღებავენ თმას, წარბებებს, წამწამებს, ბეკვა ბრჩებულებასაც და მერე ისვენებენ რბილ საწოლზე. აბანოში ასეთ ყოვენისა და ერთი საათის ტკბილი ძილის შემდეგ ძლიერ სასიმოვნო კარგი ხილის ჩაგემრიელება ჩვენთვის, ევროპიერებისთვისაც.

და თუმცა ეს აბანოები მაინცა და მაინც დიდ მიმზიდველობას ვერ იწვევენ გარეგნულად ადამიან-ში, მაგრამ მე ასეთი თროს ტარება კოსტა ქართველ მანდილოსნებისა უსარგებლოდ და ულამაზოდ არ მიმარისა; ამას ვამბობ და არ მეშრინა საყვედურის: ნახევრად გაქართველებულხარ»—ო.

ტფილისი, 18 იანვარი 1812 წელი.

... «რუსეთსა და საქართველოს შორის საქონის გაცვლა-გამოცვლა თანდათნ დექს იკიდებს, მაგრამ ამას ძლიერ უშლის ხელს სიშორე ყიზლარი-ზან ასტრახანამდე და ტრანსბორტის სიძნელე კავ-

კასიონით. მთავარი საწყობი მოზღვია. რუსეთს საქართველოდან უმთავრესად აბრეშუმი გააქვს. საქნის მიტანა ტფილისიდან შეიძლება მხოლოდ ყაუშაურამდე; აქედან ის მთებით დამიანის ზურგს გადააქვს. ასეთი სიძნელე, უგზონბით გამოწვეული, იძლევა მხოლოდ მსუბუქ და ძლიერ ძვირფას საქონლის გადატანის საშუალებას.

რუსეთს საქართველოში შემოაქვს: ოქრო, ვერცხლი, საათები, ინდიგო და განსაუთორებით ფართალი.

როდესაც რუსეთსა და სპარსეთ შორის ზავი ჩამოვარდება, უეჭველია მათ შორის დიდი ვაჭრობა გახადება... ეს არის გზა რუსეთისა აზიაში, —ინდოეთისაკენ. — სიშორე არც ისე დიდი დაბრკოლებაა, როგორც ეს ბეგჩის ჰგონია»...

ტფილისი, 25 იანვარი 1812 წელი.

... «დღეს მე დავესწარ ორ მოკლულის დასაფლავებას... თავათი ციციანოვი, შთამომავლობით ქართველი, რუსეთის იმპერატორმა, როგორც ის სამსახურში გამოჩენილი და დაწინაურებული, 1803 წელს საქართველოს გენ. გუბერნატორად დანიშნა. მან შეტევით აიღო სიმაგრე განჯა, ომელასაც სახელი გამოუყვალა და ელიზავეტოპოლი დაარქვა, დაიმორჩილა რამთოენიმე სახანო, მაგ. შუშა, ყარაბაღი და დიდი სახელი მოიპოვა სპარსეთში, თურქებში და ლეკებში. სპარსეთში დღესაც აშინებენ მისი სახელით ბავშვებს.

ჰოდა ეს კაცი ბაქოს ხანმა, ვითომ და ციხისა და მისი გასალების გადასაცემად მიიწვია ქალაქში. ციციანოვი დათანმდებარებაზე, რადგან მას ხანმა პატიოსანი სიტყვა მისცა. მას თან ახლა მხოლოდ ერთი უფროსი თფიცერი თავი: ერისთავი—აგრეთვე ქართველი—და ამამთოენიმე ყაზახი. ორივე მოკლეს ციხიდან გასრულილ ტყვიით 8 თებერვალს 1806 წელს... მოკვეთილი თავები შაპს გაუგზავნეს სპარსეთში... სადაც მოკლეს, იქ დამარხეს. როდესაც გენ. გლაზენაპმა და ბულგაკოვმა ბაქო აიღს. მოკლულთა ცხედარი გადასვენეს ერთ ერთ სომეთა ცხელესიაში. ეხლანდელმა გენერალ გუბერნატორმა მარკიზ პაულუჩიმ დავალა თავის აღიურებულს ციციანოვისა და ერისთავის ტფილისში გამომსვენება... დიდის ამბით დაასაფლავეს ისინი სიონის ტაძარში»...

ტფილისი, 5 თებერვალი 1812 წელი.

... «ჩვენ უკვე გაზახეულს განვიცდით მთელი მშენებელით... საქართველოს პავა შეუღარებელია... დღეები ერთი მეორეზე უკეთეს ერთმანეთსა სცვლიან... ციის სიწმინდე და ბრწყინვალება კიდევ უფრო მაღლა სწევენ მის გუმბათს... მთელი ბუნება იფურჩება, ახალგაზდავდება და ეხვევა სიცოცლის სამოსელში... როგორის განსაუთორებული მედიურობით ამონის აქ მზე: უთვალავი რიცხვი მგალობელთა დღესასწაულობს პატიში სინათლის მშობელის დაბრუნებას; ათასნაირ ბალზამურ სურნელებით იქინოთება ქვეყანა და სიცოცლის ამონა-სუნთქმით იყენებიან მცენარენი, რომელთა სიმწვანე და მრავალფეროვანება არ ღლის მჩერას, ეფერება.

თვალს... რა კონტრასტია ერთი მხრით ყაუშაური, ზამთრის საბანში გახვეული, მეორე მხრით მოცინარი, მოთამაშე ბუნება.— მოხუცი, ახალგაზდობით გარშემორტყმული...

გენერალ გუბერნატორის მეუღლეს ყოველ სალამს მიღება აქვს, უმთავრესად ქართველ მაღალ წილების მანდილოსნებისა; რამდენიმე მათ შორის მეფის გვარეულობას კვლეულის. ყველაზე საინტერესოდ მე მიმართია მეფის ქალი თეკლე, მეუღლე თავადობელიანისა; ამაყურ თავდაცერით ეს ქალი არ უარყოფს იმ სისტემას, რომელიც მის ძარღვებში სჩედება.

ქართველი მანდილოსნები ცხენებით მოდიან.— მათ წინ მოუდღის ერთი ქართველი მსახური. თავიდან ფეხებამდე ისინი გახვეული არიან თეთრ მოსახვეში. მოსვლისთანავე მანდილოსნები იხდიან მოსახვევებს და რჩებიან ეროვნულ სამოსელში.— ორიენტალური ტანთსაცმელი ჩვენ, ევროპილებს, გვაკვირვებს; — მე კი მგონია, რომ ის საესტიტ შეეფერება ადგილობრივ ჰავას და ხალხის ზე-ჩვეულებას... ჭამაც! მე თქვენ გწერდით, რომ აე საღილს იწყებენ იმით, რითაც ჩვენ ვათავებთ. მეტის მეტი სითბო ამ ქვეყნისა მოითხოვს მსუბუქ, ადვილად მოსახელებელ და გამაგრილებელ საცმელს. ზომიერ ჭამის უდევგია. რომ ქართველი უმეტეს შემთხვევაში მაგარი აგებულობის არის, ჯანმთელია და დიდანას სცოცხლობს»...

ტფილისი, 16 თებერვალი 1812 წელი.

... «ეს ეს არის ცუდი ცნობა მივიღეთ: კახეთში აჯანყებაა. ეხლავე თუ არ ჩატერებს ეს ამბოხება, შესაძლებელია ის მთელ საქართველოს მოედვის. გაგზავნეს ჯარი კახეთში, რომელიც ცენტრია მუდამ ლევაის და აჯანყების. მეამბოხეებს მეთაურობს საქართველოს ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი ალექსანდრე, რომელასაც მხარს უჭერს სპარსეთი. ტფილისშიც დიდი აღლვებაა და გენერალ გუბერნატორი აქ არ არის»...

ტფილისი, 18 თებერვალი 1812 წელი.

... «მოგივათ თუ არა ეს წერილი არ ვიცი, რადგან ყოველგვარი მიმოსვლა და კაგშირი კავკასიის სხვადასხვა ნაწილებთან შეწყვეტილია კახეთის აჯანყების გამო. ის დიდი სისტრატიტ ვითარდება და ედება ამ მხარის მცხოვრებთა ფართო ფეხებს. რა სამწუხაროა, რომ საქართველო, ასეთი მშვენიერი ქვეყანა, თითქმის განუწყვიტლივ შიმშილის, შავი ჭირის და აჯანყებების სამინელებას განიცდის. საშინელ მდგომარეობაში ვართ: წინ კავკასიონი გაუვალი გზებით, უფსკრულებით, თოვლიან ნაპრალებით, უკან თურქები და სპარსელები, შუაში შავი ჭირი და აჯანყება და მასთან მოსალოდნელი საყოველთან შიმშილი... თვით ბუნებასაც, რომელიც დღითი-დღე ასე მშვენიერდება, დაეკარგა ჩემთვის ყოველგვარი მმთხილველობა, სულიერ სიმშვიდე და კარგული, მეტი ველარაუერს გწერთ»...

ტფილისი, 28 თებერვალი 1812 წელი.

... «გენერალ გუბერნატორი ჩამოვიდა და გაემჭავრა კახეთის კუნ. — მოგიდა ცნობა, რომ რუსის

ჯარმა დამარცხა აჯანყებულები... ჩამოვიტა ჩეარი კურიერი პეტერბურგიდან. იმპერატორის ბრძანებით საქართველოს გენერალ-გუბერნატორი მარკიზ პაულუში გაწვეულია უკან. მალე ახალს დანიშნავენ»...

ტფილისი, 20 მარტი 1812 წელი.

... «აჯანყება კახეთში ჩაქრეს... გადაწყვეტილია, ძირითასო მეგობარო! მაისის პირველ რიცხვებში ვტოვდებ საქართველოს. ამდენ შემს, მწუხარებას და მომავალზე ფიქრს ვერ გაუძლო ჩემთა ჯანმრთელობამ. განსაკუთრებით უკანასკნელ დროის მოვლენებმა იმოქმედეს ჩემთვის და ექიმების რჩევით უნდა მოვცილდე აჯაურობას»...

3 მაისს ქ-ნი ფრაიგანგისი და მისი მეულე მიემ-გზავრებინ საქართველოდან: პირველი — იმავე გზით უკან, რუსეთისაკენ, მეორე სპარსეთში.

წიგნის მეორე ნაწილის შესავალში ბ-ნი ფრაიგანგის ამბობს: «იმ თვისებებით, რომელიც ქართველ ერს აქვს, შეიძლება მისი დროებით დამორჩილება, მაგრამ არასდროს დამონება»—ღ.

მ.—მ.კ.

## ესთი წინასტანის მოუწვევება

საფრანგეთის გამოჩენილმა მწერალმა ალექსან-დრე დიუმბე (მამამ) წარსულ საუკუნის 58-59 წლებში იმოგზაურა რუსეთსა და ჩრდილო და ამიერ-კავკასიაში.

ეს თვისი მოგზაურობა მან აღწერა სამ ტომიან წიგნში, რომელსაც «მოგზაურობის შთაბეჭდილებანი» აქვს სათაურათ და რომლის არი მესამედი, ანუ ორი ტომი მიძღვნილი აქვს კავკასიას.

ქართველ ხალხს აღტაცებაში მოუყვანია მწერალი: ყველაფერი მოსწონდა დიუმბას ქართველში: მისი გარევნობა, სილამაზე-სიკოხტავე, ვაჟაპობა და მიხერა-მოხერა; მისი სულისა და გულის თვისებები.

საზოგადოდ ბევრი ღრმა და ყურადღების ღირსი დაკირეცხება გაფანტული ამ გასატაცებლად, როგორც მოსალოდნელი იყო მისის აგტორის საქევენდ ცნოდ ცნობილ ნიჭისაგან, დაწერილ წიგნში, და მისი წაკითხვა დიდად სასიამოვნოდ დარჩებოდა ჩენეს მკითხველს.

ჩვენ სრულებით არ გვქონია აზრად საბიბლიონ-გრაფიო შენიშვნის წერა, როდესაც კალამი ავილეთ ხელში. ჩვენი მოკლე შენიშვნა გამოწვეულია იმ მოსაზრებით, რომ ქართველ საზოგადოებაში კაცი არ იყო, არ სცოდნოდა, რომ დიუმა ჩვენს ქვეყანაში კოფილიყო და მის შესახებ წიგნიც დაეწერა, ღლონდ წაკითხვით, ვვონებ, სამსაც არ წაეკითხა მისი ნაწერი.

ჩვენი განჩრახვა კი სულ სხვა არის: ჩვენი სურვილია მივაწოდოთ მკითხველს ამ წიგნიდან ამოღებული დიუმას ერთი აზრი, წინასტარმეტყველება თუ გნებათ, რომელსაც დლევანდელ დღეს ექლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა.

დიუმა ჩამოდის ნუხას და აქ, სხვათა შორის, ათვალიერებს ნუხელ ხანგის სასახლეს. ამ სასახლის

დათვალიერებით არის გამოწვეული ის წინასტარმეტყველება, რომელზედაც მოგახსენებთ ზემოდ.

მაგრამ დავუთმოთ სიტყვა თვით ავტორს.

«... კოშკი მომხიბელელი რამ შენობაა. მისი გადმოცემა მისის დახლართვულის ნაშენებებით და დაუსრულებელ არაბულ ჩუქურთმებით მხოლოდ მხატვრის ბეწვს (ფოჩის) თუ შეუძლია.

სასახლე შიგნით განახლებულ იქნა ძველებურ ყაიდაზე რუსეთის დიდ მთავართა თვის, რომელიც აქ ჩამომხტარან. ოღონდ გადაკეთება-განახლება პირველ სართულს არ ასცილებია, ყველაფერი ასე კეთება რუსეთში. არასდროს მუშაობა არ გადასცილება დღიურ საჭიროებას, აუცილებელ საჭიროებას. შემდეგ, საჭიროება რომ გაივლის, თავს მიანებებენ და შენახვის, ზედმიყოლის, შეგების მაგიერაცლიან საქმეს ისევ იმ მდგომარეობაში ჩაგარდეს, რომელშიც უწინ ყოფილა.

რუსეთი სტიქიონია: შემოიწრება, ოღონდ დასანგრევად. მის თანამედროვე დამპყრობელთა შორის სკვითების, პუნთა და თათართა ბარბაროსობის ნაშთია შენახული. თანამედროვე ცივილიზაციასა და გონიერებასთან ადამიანის გონებას ვერ მოუთავსებია შეწრის და გავრცელების ეს საჭიროება და ვაუმჯობესობისათვის ეს სრული უზრუნველობა.

ერთ დღეს, რუსეთი აიღებს სტამბოლს, ეს ბეჭის წიგნში სწერის; —ქერა რას მუდამ დამპყრობი რასა ყოფილა; შავვერებან რასების გამარჯვებანი არასდროს ყოფილან ხანგრძლივი; —მაშინ, რუსეთი დამსხვევება, არა არ ნაწილად როგორც რომის იმპერია, არამედ ოთხ ნაწილად. მას შერჩება მისი ჩრდილოეთის იმპერია თავის დედაქალაქით ბალტიკაზე, და ეს იქნება ნამდვილი რუსეთის იმპერია; განჩენება დასავლების იმპერია, რომელიც იქნება პოლონეთი ვარშავათი, როგორც დედაქალაქით; სამხრეთის იმპერია, ე. ი. თბილისი და კავკასია, ბოლოს აღმოსავლების იმპერია, რომელსაც შეადგენს ორივე ციმბირი.

ცოტა ძალა რომ დავატანოთ ჩენეს წინასტარმეტყველურ ჩიშს, ვიტყოდით:

ის იმპერატორი, რომლის ხელმწიფობის დროს მოხდება ეს დიდი კატალიზმი, შეინარჩუნებს პეტრებურგსა და მოსკოვს, ე. ი. რუსეთის ნამდვილ ტახტს.

ბელადი, რომელიც სახელს მოიხესვს ვარშავაში და საფრანგეთი კიდე მხარს დაუჭრებს, არჩეული იქნება პოლონეთის მეფედ.

მოლალატე მოაგდილე ააჯანყებს თავის ჯარს და თავის სამხედრო გავლენის წყალობით, თბილისის მეფედ ეკურთხება.

ბოლოს ვინმე გაძევებული, ნიჭიერი, დაარსებს ფედერატიულ რესუბლიკას კურსესა და ტომსკ შუა.

შეუძლებელია, რომ ჩამპერია, რომელსაც ქვეწიერობის ერთი მეშვიდეოთ უჭირავს დღეს, ერთ და იმავე ხელში დარჩეს: თუ ხელი მეტად მაგარი გამოდგა, დამსხვევება მოელოს, თუ მეტად სუსტი—გაიშლება, და, როგორც პირველს ისე მეორე შემთხვევა.

გაშიაც, იძულებული იქნება ხელიდგან გაუშვას ის,  
რაც ეჭირება...»

ნუ გამოვყენიდებით წვრილმნებს, ვინ სად, და  
რატომ გამეფდა, ყურადღება მთავარს მივაჟიოთ,  
ეს იმ აზრს, რომ რუსეთს დაშლა მოელის, და უმთა-  
ვრესად იმ აზრს, რომ მოუთავსებელის მოთავსება  
არაითარ მძლავრ ხელს არ შეუძლია დიდის ხნით,  
ის უნდა დაიმსხვრეს.

ამ მხრით წარსულ საუკუნის შუა წლებში გამო-  
თქმული დიუბას აზრები მეტად დამატირებელი და  
ყურადღების ლირსია, დამეთანხმებით.

დარბაიხელი.

### ჩართველ ლოტოლვილთა ოციცი

როცა საქართველოს საელჩო მოიხსნა პარიზში,  
ივნის 1933 წ., საფიქრებელი იყო, რომ ქართველი  
ლტოლვილნი საფრანგეთში უფლებრივათ მოყლე-  
ბულ იქნებოდენ საშუალებას თავისი ეროვნული სა-  
ხეობა შეერჩინათ. მათ არ შეეძლოთ ერთა ლიგის  
მფარველობა ესარგებლნათ, მზგავსათ რუსებისა  
და სომხების, რადგან, სანამ საელჩო არსებობდა,  
ისინი ითვლებოდენ იურიდიულთა ცნობილ საქარ-  
თველოს მოქალაქეებად, ხოლო საელჩოს მოხსნის  
შემდეგ, დიდი შიში იყო, რომ მათ აიძულებდენ რუ-  
სების ოფიციასთვის მიემართნათ, და, მაშასადამე,  
დარქმეოდათ რუსის ლტოლვილნი.

მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, საფრან-  
გეთის ხელისუფლებამ ერთხელ კიდევ გამოიჩინა  
თავისი თანაგრძნობა და სიმპატია ქართველ ლტო-  
ლვილებისადმი და, თანახმად საელჩოს მიერ თავის  
დროზე აღძრულ შუამდგომლობისა, მისცა მათ სა-  
შუალება თავისი ოფიცი პეტონდათ, ფაქტიურათ  
იმავე ჯუნქციებით, რაც რუსების და სომხების ოფი-  
ციებს აქვთ. ჩერა არი წელიწადი შესრულდება, რაც  
ქართული ოფიცი არსებობს და ნორმალურათ მუ-  
შაობს.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ის,  
რაც ფაქტიურათ არსებობს, წერილობით დაუდას-  
ტურებია რესპუბლიკის ხელისუფლებას. განკარგუ-  
ლება გაცემული, რომ აღმინისტრაციამ არას გზით  
არ უნდა არის ქართველი ლტოლვილები რუსის  
ლტოლვილებში, მათ აქვთ თავისი სახელი «ქართვე-  
ლი ლტოლვილი, ქართველი შთამომავლობის» და  
ასე უნდა იხსნიობოდენ ოფიციალურ ქალადებ-  
შით. რაც შეეხება პასპორტს, მათ ეძლევათ არა ნან-  
სენის, არამედ ფრანგული სპეციალური პასპორ-  
ტით. იმავე დროს—განკარგობის იგივე განკარგულე-  
ბა—ქართველ ლტოლვილებს უნდა ეძლოთ ყვე-  
ლა ის შეღავათები (შრომის უფლება, უმუშევართა  
დახმარება და სხ.), რომელიც დაწესებულია რუს და  
სომებს ლტოლვილებისათვისო.

დიდათ მადლიერნი საფრანგეთის ეგზომ ყურა-  
დებისა და სტუმართ-მოყვარეობის, ქართველი  
ლტოლვილნი, რა თქმა უნდა, ლირსეულათ მოიხმა-  
რენ მოცემულ უფლებას და შეღავათებს.

### კ ა ლ ე ვ ა ლ ბ

ფინური ერთვნულ-სალშერი გმისი.

გაშული თებერვლის 28 შესრულდა ასი წელიწა-  
ლი, რაც გამოქვეყნდა ფინების სამაყო ხალხური  
ეროვნული ეპოსი «კალევალა». მოელმა ფინეთმა  
დიდი დღესასწაულით აღნიშნა ეს ისტორიული და-  
ტა და დღესასწაული გაგრძელდება მთელი ამ წლის  
განმავლობაში: გაიმართება კონგრესები, ლექციები,  
გამოფენები და გამოცემა სხვადასხვა წიგნები—გა-  
შოკლევანი.

მეტად საინტერესოა ამ ხალხური ეპოსის შეკ-  
რების და გამოქვეყნების ამბავი, რომელსაც უდი-  
დესი მნიშვნელობა პეტონდა ფინების პოლიტიკურ  
და კულტურულ აღორძინებისათვის. ფინეთის ერი  
დღეს ძლიერი ეროვნული თვითშეგნების ერია და  
კულტურულად მეტად წარმატებულია და მისი გავ-  
ლილი და დღევანდელი მუშაობა ფრიად საყურად-  
ებოა ქართველებისათვის.

1807 წ. ტიობიტში ნაპოლეონმა და ალექსანდრე  
პირველმა ხელშეკრულობა დასდევს, რომლის ძა-  
ლით რუსეთი უნდა მიმხრობოდა კონტინენტალურ  
ბლოკს და ცდილიყო შეეცის მომხრობასაც, სამა-  
გიეროთ მას ეძლეოდა უფლება ფინეთის დაპყრობი-  
სა, რომელიც ექვსი საუკუნის განმავლობაში შეე-  
ცის ნაწილს შეადგინდა და იყო მისი სიმაგრე რუ-  
სების თავდასხმების წინამდეგ. 1808-09 წლ. რუსეთ-  
მა დაიცყრო და შეიერთა ფინეთი, რომელსაც დაუ-  
ტოვა აღმინისტრატული ავტონომია და შეეცის  
შემოლებული კანონები და წესები. იმ დროს ფინე-  
თის მაწინავე კლასი თითქმის მთლად დამორჩილე-  
ბული იყო შეეცის კულტურით, ენაც კი დაიკინტა  
მშობლიური და მოწყდა მდაბიო ხალხს. მაგრამ მა-  
ინც იყვნენ ცალ-ცალკე პირები, ეროვნული შეგნე-  
ბით აღჭურვილნი. ხოლო მათი მოწოდება მეტ შემ-  
თვევაში იყო ხმა მლალადებელისა უდაბნოსა შინა. აი ამ დროს წარმოსთხვა ა. ი. არვიდსონმა შესანიშ-  
ნავი სიტყვები: «ჩვენ არა ვართ შევცილები, ჩვენ  
არ გვინდა რუსები გავხდეთ, ვიყვნეთ ფინები!» სამ  
წუხაროთ ფინელი ხალხი ჯერ კიდევ გამოვიდებუ-  
ლი არ იყო. მისი დედა-ენა—ფინური—, რომელიც  
ჯერ კიდევ მე-16 საუკე. დამუშავდა ლიტერატუ-  
ლად, დღეს მიგდებული იყო და მას მშერლობაში  
აღარ ხმარობდნენ.

მაგრამ ხალხის წიაღში შენახული იყო საუკუნე-  
თა მანძილზე დაგრავილი სულიერი ძალა, რომელ-  
მაც გზა გაუხსნა ეროვნულ აღორძინებას. მთელ ფი-  
ნეთში, განსაკუთრებით კარელეთსა (კარელია) და  
ინგრეთში (ინგრია), რომლებიც დღევანდელ ფინე-  
თის საზღვრებს გარეთ არიან დარჩენილნი, ხალხი  
მდეროდა წინაპერების შეთხეულ ძველს ლექსებს,  
რომლებიც აღიდებოდენ ფინელთა თავისუფლებას,  
გონების და სიტყვის სიძლიერეს, ძველთა წნე ჩვეუ-  
ლებებს. და აი ვამოჩნდა ადამიანიც, რომელმაც შე-  
აგროვა ეს გადმოცემანი და გადაარჩინა გაქორბას.  
გასული საუკუნის დასწყისში ჩუმად, აუხმაურებ-  
ლად შეასრულა მან საქმე, რომელმაც ყველაზე მე-  
ტად ჩახედა ფინელი ერი თავის ეროვნულ არსების

სიღრმეში. ეს იყო ელის ლიონროტ შემკრები და შემჯმელი კალევალასი, ფინურ ხალხური ეპონისა.

ლიონროტ იყო სოფლის მკერავის შეილი, სამ-სრეთ ფინეთში. მიუხედავად ქრისტიანი და ბრძოლებისა და მთავრა საშუალო საშავებებებით და შევი-და ტურქუს უნივერსიტეტის საქიმინ და ულტეტ-ზე. აյ ყოფნის დროს შე მეიყარა ხალხური პოეზია და მთელს თავისუფალს დროს ანტომებდა მოგზაუ-რობას და ხალხური ლექსებისა და სიმღერების გაც-ნობას. 1832 წელს ექიმად დაბინავდა კაიანში, ფი-ნეთის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში და ამან მის-ცა საშუალება მიმოევლო კარელეთი, სადაც უმთა-ვრესად დაცული იყო ფინური ხალხური სიმღერები. აქ ხვდებოთა ის გამოჩენილ ხალხურ ბარდებს, რომ-ლებიც ხშირად მთელი დღის განმავლობაში უმღე-როდენ დევლს ეპიკურს ლექსებს. კარელეთიდან და-ბრუნებისას ლიონროტმა შეაერთა ეს სიმღერები და მისცა მათ მთლიანი სახე: «კალევალა, ანუ დევლი კარელური სიმღერები ფანელი ხალხის გარდასრუ-ლი დროიდან».

მთელი მასალა ლიონროტმა მოაგროვა აღმოსა-ვლეთ კარელეთში, იმ კარელელთა შორის, რომელ-ნიც ცხოვრობდნენ მაშინდელ რუსეთის არხანგელის გუბერნიაში. «კალევალა» შექმნილია თეთრი ზღვის ნაპირას იმ დროს, როცა კარელელთა ტომს დიდი ძლიერება ჰქონდა მოპოვებული. ეს იყო მეოთე მე-თერთმეტე საუკუნეში დახალოვებით. კორელეთი ვრცელ ტერიტორიას შეიცავდა დღევანდვლ ქალაქ ვინჯურიდან ყინულის უკანემდე და არხანგელის რაიონიდან ბორნის ყურემდე. მისი სიძლიერე დას-ცეს ნოვგოროდელ რუსებისა და შეეცილების იე-რიშებმა. ხანგრძლივი და მწარე ომები ჰქონდათ კა-რელელებს ორივე მტრის წინამდეგ. 1617 წელს და-დებულ იქნა საზღვარი, რომელიც რესაც ჰყოფს ფინეთსა და რუსეთს: დასავლეთის კარელელები შე-უერთდნენ თავის ძმა ფინებს ფინეთის ფარგლებში, ხოლო აღმოსავლეთის კარელეთი დარჩა რუსეთის ბატონობის ქვეშ და განიცადა და დღესაც განიცდის ეროვნულ ხაგრას და შევიწროვებას.

მაგრამ ვერც რუსის აღმინისტრაციის სიმძლავ-რებ, ვერც ეკლესიის გამარტუსებელმა ზომებმა (კა-რელელები მართლმადიდებელნი არიან და მათ წი-რეალცებაც კი აუკრძალეს დედა-ენახე), ვერც მე-მამულების მძიმე დაბეგვრამ, ვერც სამხედრო ეგ-ზეკუციებმა ვერ გატეხეს ხალხის სიმხნეები. დიდი ამ რომ რევოლუცია მოყვა რუსეთში, კარელეთმა იარალი აიღო ხელში თავისუფლების მოსაპოებლად. სამწვხაროთ არც გერმანიამ მიაქცია ყურადღება მის მოთხოვნას და არც მერე ალიებმა და კარელეთი დარჩა ისევ ფინეთის სახელმწიფოს გარეთ. ბოლშე-ვიკებმა მას თითქოს თვითმართველობა მისცეს და დარსეს ეგრედ წოდებული «კარელეთის სოციალ. საბჭოური ავტონომიური რესპუბლიკა», რომელიც როგორც რუსეთის სხვა ნაწილებში მხოლოდ თვა-ლომაქცობა და მასხრობა. კარელელები ისევ განა-გრძობენ ეროვნულ ბრძოლას და ელინ დროს, რო-ცა ისინი განთავისუფლდებიან და შეუერთდებიან ფინეთის სახელმწიფოს.

მიუხედავად მძიმე ისტორიული ბედისა და შე-იძლება სწორებ ამის გავლენით კარელეთმა უფრო შეინახა თავისუფლების ხელი სიმღერები. ლიონ-როტის შეგრძელი ლიტერატურულ ლექსითა კრებულში ერთი ასეთი ადგილია: «ჩვენი სიმღერა ჩვენმა მწუ-ხარებამ წარმოშეა და ჩვენმა ნალველმა მისცა მას სახე». ორგორც მეცნიერულმა გამოკვლევამ დამტ-კიცა, «კალევალა» ლექსები პირველი კარელეთში არა შეთხული, არამედ ჩაისახა დასავლეთ ფინეთ-სა, ესტონეთსა და ინგრეტში და აქედან, ფინები მო-სახლეობის ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ გაშლას და გაფართვებასთან ერთად ეს ლექსებიც გაღმოვიდა კარელეთში და აქ მათ თანადათან მიიღეს უფრო და-მუშავებული და მხატვრული ფორმა.

«კალევალაში» მოთხოვნილია ორი ტომის ამ-ბავი—კალევალას და პოპიოლას. კალევალას ორი გმირი, დიდი ბარდი ვაინამინენ და მჭედელი ილ-მარინენ, მიდიან პოპიოლას ქვეყანაში, რათა ცოლად ითხოვონ ერთი იქაური ლამაზი ქალი. ბარდს უარს ეუბნებიან, ხოლო ქალს მიათხოვებენ ილმარინეს, რომელიც გამოსჭედავს პოპიოლას ტომისთვის სამ-ბოს, ჯაღალნურ ნივთს ყოველი სიმღიდრის და წარ-მატების შესაძენად. მჭედლის ცოლი მალე კვდება ერთი შემთხვევის დროს და კალევალას გმირები, რომელთაც შური პოპიოლას გამდიდრება, გაირტ-ცებენ სამპოს და მიაქვთ თავიანთ სამშობლოში. მათ დაედენება პოპიოლას ბატონი. ბრძოლის დროს სამპოს დამსხრევა და ვაინამინენ წაიღებს მხო-ლოთ მის აღმდენაშე ნატეხს.

მძიებულით გაჯიბრება და სამპოს გატაცება შე-ადგენს ეპლისის მთავარს შინაარსს. ამის გარშემო აკინძული სამი ლამაზი პოემა: სიმღერები აინოს, ლემინკაინენის და კულერვოსი. ახალგაზრდა ქალის აინოს ფიგურა ერთი უმშვერიერეს და მომხიბლავ-თავანია ფინურ ხალხურ პოემიაში. გაინამინენ რომ სიმღერაში აჯობებს აინოს ძმას იუკაინენს, უკანა-კნელი თავის თავის დას მოხუცს ალუთეამს. მაგრამ აინო უარს ამბობს და ტბაში გადავარდება. ლემინ-კაინენ ფინურ პოემის ღონიუანია—მხიარული, უდა-რდელი, ხიფათის მოყვარული. ხოლო ამავე დროს აღმერთებს თავის დედას. კულერვოს სიმღერები უფრო სევდიანია, კულერვო ბერმა მონად განადა და ის აფუჭებს ყველაფერს, რასაც ხელს ახლებს. მთელი ეპლისის შესავალი თავისებული კოსმოგო-ნია, ხოლო უკანასკნელი სიმღერა გვიამბობს, თუ მოხუცი ვაინამინენ, ეს სიმბოლო ბევერი სარწმუ-ნოებისა, როგორ უმობს აღგილს ქალწულის ნა-შობს ახალგაზრდა მეფეს კარელეთისას.

«კალევალა» სრულებით არ წაგავს უმიროსის დროის ან საშუალო საუკუნეების საგმირო ეპლ-ებს. აქ არა ომები, დიდი საგმირო საქმეები და შე-ტაცებანი. მის მოქმედ პირთა სიდიადეს შეადგენს ცოლად და სიძლიერე სიტყვის, თქმის, რომელიც ბუნების კანონებსაც კი აღემატება. როდესაც ვაინა-მინენ, ეს უკვდავი მისანი, მდერის, ტბები ლელა-ვენ, მიწა ინდენება და კლდენი ირდევეიან. მისი სიმ-ღერები ქუდს დრუბლად აქცევენ და ხელთათმანებს მდინარის ყვავილებად. მარტო მომღერლები არ

არიან ასეთი მისნები, სხვა გმირებსაც ასეთივე ძალა აქვთ. ას მაგალითად ლემინჯაინენ ქვიშას მარგალიტებად გადააქცევს და ბრწყინვას დაწყებინებს ქვებს. აღწერილობა «კალევალაში» გადაჭარბებული და ფანტასტიურია: დარბაზი ისე ფართოა, რომ ერთ კუთხეში რომ დაიყვილებს მამალი, მეორეში აღა ისმის; საქორწილოთ დაკლული ხარი ისე დიდი იყო, რომ მერქალი ერთი რქიდან მეორემდის გადასაფრენად მთელი დღე სჭირდებოდა.

თუმცა ლა «კალევალა» ისტორიულ ამბებს არ აკვიშებს, მაგრამ საუცხოვთ გადმოგცებებს ძეველი ფინების ზნე-ჩვეულებებს, გრძნობებს, განცდებს. ნამდილი პოეზიით აღსავს ქორწილი, საცოლოს გამგზავრება მობლების სახლიდან; მშვენიერადაა აწერილი დათვე ნადიორობა. მაგრამ შეუდარებელია გაინახუნენის სიმღერის მოხატვა, რომელიც უსულო ბუნებასაც და ნადიორთაც იმორჩილებს. გაინამინენ რომ მღრღოდა, თან უკრავდა, როგორც ბარდების საერთო წესი იყო, ბერძნულ კითარის მსგავს საკრავშე.

როდესაც «კალევალა» გამოვიდა პირველად 1833 წ. მას არ მიაქციეს უზრადღება, რომლის ლირსი იყო. ხოლო 1849 წ. ლიონის გამოსაცავისას სახლისად, შევსებული პეტერბურგის მანეზობლად ინგრეთში შეკრებილ ფინურ ხალხურ ლექსებით. ახლა კი ყველამ დაინახა, თუ რა დაუფასებელ საგანძურს წარმოადგენდა «კალევალა». მთელი ფინეთი მოძრავდა, დაიწყეს ხალხური სიტყვიერების შეკრება, გამოცემა და შესწავლა. «კალევალამ» მოახდინა უდრმესი გავლენა კაზმულ მწერლობაზე. 1860 წ. ალექსი კივიმ გამოაქვეყნა თავისი შესანიშნავი კომედია «სოფლის ხარაჯები» და დიდი რომანი «შეიდი ძმა». ავგუსტ ალექსისტ აკსანენმა საძირკველი ჩაუყარა ფინურ პოეზიას. მოქანდაკენი და მუსიკოსები «კალევალას» მიმართავენ თავის შემოქმედების მოტივებისათვის. ფინური ენა განვითარდა, გამდიდრდა. მთელმა ერმა ძალა იგრძნო თავის არსებაში და ეროვნულმა შეგნებამ ფართოდ გაშალა ფრთხი. «კალევალას» მიერ გამოწვეულ ეროვნულ ალორდინების წყალობით იყო, რომ ფინეთმ შეხსლო წინააღმდეგობა გაწინა რუსიფიკაციისთვის უკიდურეს რეაქციის. დროსაც კი; აქციანვეა წარმომდგარი ის სრული გაეროვნება, რომელიც ასე ძლიერია დღესაც ფინეთის ცხოვრების ყოველ დარგში.

«კალევალა» მრავალჯერ არის გამოცემული ფრულად, სხვათ შორის ასებობს ძეირფასი მხატვრული გამოცემა დასურათებული ფინეთის გამოჩენილ მხატვრის აკსელი გალენ კალელას მიერ. «კალევალა» გადათარგმნილია 17 სხვადასხვა უცხო ენაშე. არის ფრანგულადაც Jean-Louis Perret თარგმანი.

ქართველებს არ შევიძლია ჩვენი გულითადი მეგობრული სალამი და მილოცვა არ მიუძღვნათ ფინებს დიდი ეროვნულ დღესასწაულის გამო, რომელსაც წარმოადგენს «კალევალას» ასი წლის თავი. ფინების მაღალ ეროვნულ შეგნებას და მუდამ მტკიცებული ბრძოლას რუსეთის ძალადობის წინააღმდეგ ქართველები ყოველთვის ფხნელი ინტერესით გადევნებდით თვალყურს და მათი იშვიათი სულიერი ძა-

ლა იყო ჩვენი გამამხნევებელი. დღევანდელი ფინეთის თავისუფალი ცხოვრებაც, მკვიდრ ეროვნულ საფუძველზე აგებული, მისი ფართო აღმშენებლობა ეკონომიკურ თუ კულტურულ სფეროში — ჩვენთვის მისაბაძევია. ფინეთის ერი დღესაც, როგორც წინად, იმის ურყევ რწმენას გვაძლევს, რომ შეუძლებელია დამორჩილება ერის. რომელსაც უნდა თავისუფლება და რომელიც იბრძვის ამ თავისუფლებისათვის.

## კომუნისტები საქართველოში

(ყოფილი კომუნისტის მოგონება)

«ჩეპი, — კოლეგანთაცია, — გადამეტივიშაცია.

ჩეკოვნეცის სტაბილიზაცია მოხდა 1924 წლის ზაფხულზე. ამ დროს ახალი ეკონომიკური პოლიტიკა (ნება) კარგად იყო შექრილი ქალაქება და სოფელებიც. ჩეკოვნეცის შემორებამდე აღებ მიცემობას ძალაში აბრკოლებდა «მილიარდების» ტრიალი. დამყარდა ერთგვარი თავისუფალი გაცვლა გამოცვლა ქალაქება და სოფელები შორის. გაძლიერდა საქონლის ქალაქება და სოფელები შორის. გაძლიერდა წარმატება და ეტყო, მუშის ხელფასაც დატყო ზეპიტ სვლა, რადგან ფული ფულობდა, საერთო დონე ხალხის კეთილდღეობის ცოტცოტად უმჯობესდებოდა. რასაკვირველია, ყოველსავე ამას მხოლოდ ეკონომიკური მნიშვნელობა პერნიდა. მიუხედავად პოლიტიკური თავისუფლებების დიდი მოთხოვნილებისა, ხელისუფლება ამ სფეროში ხალხს არაფერს აწოდებდა გარდა ჩეკის სარდაფებისა და სატუსალო ვაგონებისა კიმბირის მიმართ უდინებისა და სატუსალო ვაგონების კავკავილობა ამხანაგობების ქსელის ჩამოყალიბების. ხალხი სისარულით და ნომინით შეეგება კონკრეტულ მშენებლობას და აქტიურ მონაცილეობას დებულობდა მის როგონიხაციაში. იშვიათად შეხვდებოდით ისეთ ჯაჭახს, რომ თავისი წვლილი არ შეეტანა მომხმარებელ და სასოფლო-სამეურნეო კონკრეტულიაში და აგრეთვე საკრეიტო ამხანაგობაში. უნდა ითქვას, რომ ქართველმა ხალხმა (და სომხებმაც) დიდი უნარი გამოიჩინა კონკრეტული მშენებლობაში. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული არივე ცენტრები (ცეკავშირი და წარმოკავშირი) კოჭლობდენ, მაინც დამკამაყოფილებლად მუშაობდა ძირითადი ქსელი. შეგვიძლია სრული იმედი გვერდეს, რომ როცა ქართველი ხალხი გათავისუფლდება, ის ნებაკონფლიქტისა და თვითმოქმედების საფუძველზე შექმნის სამაგალითო კონკრეტულიას. ამის გარანტია იძლევა მისი მიკლე ხნის წასული ამ სფეროში. წარსულში საქართველოს პეტრიდა გამოცდილება მომხმარებელ კონკრეტული არის დარღვეული და კადრებიც არ იყო საძარღვებრივი და დარღვეული და კადრებიც არ უდგა წინ.

ისეთი სიძნელები, როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისას. უკანასკნელი ჩევნოვის ახალი დარგი იყო და სანამდი მისი მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგებოდა, ბევრი დაბრკოლები შეიქმნა დასაძლევა. სასოფლო-საკრედიტო ამხანაგობებს სათავეში უდგა, როგორც საფინანსო წყარო, სასოფლო სამეურნეო ბანკი (ყოვილი საქართველოს სახელმწიფო ბანკი) და ის ხელმძღვანელობდა ორგანიზაციულადაც. ამნაირად: მომხმარებელი კოოპერაცია აწოდებდა მომხმარებელს მრეწველობის პროცესუას, მაგარ ფასებში, სას.-სამ. კოოპერაცია აკავშირებდა მწარმოებელს, აბევებდა მათ ნაწარმოებს, აგროვებდა თავის დროხედ პროდუქციას, აწარმოებდა გადამუშავებას ადგილობრივ წევრების საშვალებით, გაქონდა პროდუქცია ბაზარზე, ასალებდა და უსწორდებოდა წევრებს მაგარი ფასებით. საბჭოთა ხელისუფლება აროდეს ყოფილა ხელგაზმილი, მაგარი ფასები ძალიან ძუნწად იყო გამოანგარიშებული, მაგრამ რადგან ვალიუტა მაშინ სტაბილური იყო და თანაც გლეხს საშვალება ჰქონდა, თავისი მოთხოვნილება შედარებით ადვილად დაეკმაყოფილებია ქალაქის ნაწარმოებით, იშვიათად გაიგონებდით გლეხის ჭიჭიყის და უკმაყოფილებას. ის თავის ნაწარმოების გადამალვაზე მაშინ არ ფიქრობდა. სრული ნდობით მოითოდა კოოპერაციაში და აბარებდა თავის ნაშრომს. ეგივე სას.-სამ. კოოპერაცია განავებდა მომარავების საკითხს და აწვდიდა გლეხობას, მაგარ ფასებში, სასოფლო სამეურნეო იარას, საწამლავ მასალებს (მაბიაბანი, გოგირდი) და სსვას. სასოფლო სამეურნეო ბანკი თავისი საკრედიტო ამხანაგობების მეშვეობით აძლევდა წევრებს მოკლე ვადიან და გრძელ ვადიან სესხებს დაბალი პროცენტის დარიცვით. მოკლე ვადიანი სესხი ეძლეოდა ახალ მოსავლამდი (რთველი) გლეხის წვრილი მოთხოვნილებების დასაქმაყოფილებლად, გრძელ ვადიანი სესხი კი სამუშაო იარაების და საქონლის (ხარი, ცხენი) შესაძნად, კიდევ უფრო შედაგათიანი პროცენტით. რა თქმა უნდა კრედიტებს ფართო ხასიათი არ ჰქონდა, მაგრამ რაც თანხები მიღიოდა, გლეხები მიზნობრივად და შეგნებულად იყენებდნენ მას. ყოველივე ზემო სესხებული რომ ასე დარჩენილიყო, მაშინ საბჭოთა ხელისუფლება საბჭოთა ხელისუფლება, არ იქნებოდა. მის ბუნებაში არ შედის, რომ ხალხის თუნდაც ნაწილი ღირება კმაყოფილი იყოს და ცხოვრება წარმატებით მიღიოდეს. მისი ბუნების თანდაყოლილი სესხა ხალხის ყვლევა, ტანჯვა და დაბეხავება. ასე რომ ასეთი მდგომარეობის შექმნა, როცა გლეხობა ცოტა ქონს იკიდებდა და რეემსა და გლეხობას შორის თითქმის მშვიდობიანი ურთიერთობა მყარდებოდა, მარცად და შეცდომად იქნა მიჩნეული და აქედან გამომდნარე ხელისუფლება შეუდგა «შეცდომების გამოსწორებას». ის თანდათანობით ზურგს აქვს «ნები»-ის დროს დამყარებულ ურთიერთობას და მიისწრავის ძველად ნაცადი გზით. ჯერ შეუდგა «კულაკის» შეზღუდვას «დარიბ გლეხზე დაყრდნობით და საშუალო გლეხთან კაშირით», შემდეგ «კულაკის» ექსპროპრიაციას, შემდეგ «კულაკის» მოსპო-

ბას როგორ კლასის და ყველა დანარჩენ გლეხების ჯოგით კოლექტიურ მეურნეობაში შერევას. ეს უკანასკნელი ეტაპი აწესებს სახელმწიფოს ფეოდალსა და გლეხობას შორის ნამდვილ ბატონი-ყმურ ურთიერთობას.

(შემდეგი იქნება)

გირილე გაგაბაძე.

### გიორგი გარებაშვილი

31 მარტს ნიუ-იორკში გარდაიცვალა გიორგი მაჩაბელი, საქართველოს საელჩოს ყოფილი გამგე რომში. ეინც მას იცნობდა, ძნელათ დაჯერებებს ამ სიცოცხლით სასვე ადამიანის სიკვდილს. კარგი ქართველი, თავდადებული მებრძოლი თავს ჭვეებინათვის, გრიპის-ანთების მსხვერპლი გახდა...

გიორგი მეტა აღგზნებული პატრიოტი იყო, მაგრამ ეს არ უშლიდა აბობოქებული გრძნობები გონებისთვის დაემორჩილებინა, ამისათვის მას ჰქონდა კარგი განათლებაც მიღებული: დაამთავრა ცნობილი ბერლინის სამორავადებისა, ამ მაღალ სასწავლებლის სტუდენტებს თვეები მაღარებული ამუშავებდენ, როგორც უბრალო მუშებს, საიდანაც გიორგის დაყვა თეთრი და შავი სამუშაოს თანაბარის დაუხარლობით ასტულება. აკადემიის შემდეგ გიორგიმ მოიარა მსოფლიო, შეიძლება არც კი დაიჯეროთ, მან თავის შრომით შეასრულა ეს მგზავრობა: იყო მეზღვაურად გემში თუ შოთვერად ნიუ-იორკის ქუჩებზე. ბერლინში დაბრუნებისას ის შეხვდა მაშინ სახელ განთქმულს «მარია კარმის», ქ-ბ ნორინას, უაღრესათ განათლებულ და ნაზიტალი ასულს, შეიყვარა და ეს, პირველ ყოვლისა, იმით დაამტკიცა, რომ სულ ცოტა ნაში იტალიურიც შეისწავლა ჩინებულათ.

დიდი ხანი არ გასულა და ომიც დაიწყო. გიორგი ამოქმედდა, მაღალ წრებთან დაახლოებული, ის კიდეც ელოდა ომს და წინასწარ ემზადებოდა ამისათვის. არსდება საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი კომიტეტი და გიორგი ნამდვილი მისი სულის ჩამდგმელი გახდა. ის კისრულობს ყველაზე სარიცაო და საპასუხისმგებლო როლებს დიპლომატისა და კონსილირობრის ერთსა და იმავე დროს. ორთავე დარგში იჩენს არაჩეულებრივ ნიჭისა და უნარს. გიორგი თამამათ გადადის ერთი მეომარ ქვეყნიდან მეორეში, მართავს მოლაპარაკებას ხან გენერლებთან, ხან დიპლომატებთან, ან კიდევ რევოლუციონერებთან და ყველაზე კარგს შთაბეჭდილებას ახდენს. არა ერთხელ მდგარა ის სიკვდილის წინ, მაგრამ სწრაფ მიხვედას და განახობას გადაურჩენია. ეს ხანა გიორგის მოღვაწეობისა თავის პირველ მუშაობას ელის, ჯერ არ დამდგარა ამისათვის დრო...

რომში გიორგის ისევ ჩევნი საქართველო უბედურების პირველ არ წელს შეუხვდა მუშაობა. ელჩმარწმუნების ბარათის გადაცემაც ვერ მოასწრო რო-



შში, მაშასადამე. საელჩო ფორმალურათ არ იყო  
უფლება-მოსილი. მიუხედავთ ამისა, მას უწევდებ,  
გიორგის მეოხებით, არა ნკლებ ანგარიშს, ვინემ  
თავისუფალ ქვეყნების ჩაელჩოთ. გასაოცარი იყო  
გიორგის მუშაობა პრესაში, ის ერთი და იმავე ეჭ-  
ხით უტევდა კონსერვატორს, ლიბერალს. თუ სო-  
ციალისტს და კველას გულს იგებდა, მეორე დღეს  
წაიკითხავდით მის ნაკარნახევს, რედაქტიოს მიერ  
გალამაზებულს, თვითონ არ უყავარდა წერა. ქუჩაში  
ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა, რომ მეგობარი არ  
შეხვდოდა, საჭართველოს მეგობარი.

სამშობლო არ დაივიწყებს მის ლვაწლს.

ნიკო გარეს სკოლის პატივისცემა

მარტის 31 ალიანს ფრანგების დარბაზში «კავკასიის წევმ» მოაწყო განსცენებული აკადემიკოსების ნიკო მარის პატივსაცემი კრება, რომელსაც მრავალი საზოგადოება დაესწრო — გარდა კავკასიელებისა იყვნენ უკრაინელები, რუსები და სხ.

კრება გახსნა «წრის» თავმჯდომარეულ ი. დაღიან-  
მა, რომელმაც მოყლედ აღნიშნა ნიკო მარის დიდი  
ლეგატი კავკასიელთა კულტურის და ენების შესწა-  
ვლის საქმეში და დამსტრეტ სთხოვა ფეხზე ადგომით  
პატივი ეცათ მისი სსოფლისათვის.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს პროფ. ე. თაყაი-  
შვილი, რომელიც ვრცლად ახასიათებს დიდი მეც-  
ნიერის ცხოვრებას და მოღვაწეობას. მოხსენებელი  
მეტად დაახლოვებით იცნობდა განსხვავებულს: ის-  
ნი ერთად სწავლობდენ იზურგეთის სამაჩრო სასწა-  
ვლებელში, ერთად იყვნენ ქუთაისის გიმნაზიაში,  
პეტერბურგის უნივერსიტეტში; ათექმის ერთსა და  
იმავე ტრის დაწყეს სამეცნიერო მუშაობა, პეტ-  
რათ ხშირი ურთიერთობა და დამკიდებულობა.  
პროფ. თაყაიშვილი კვალდაკვალ მიჰყეა მაღალი  
ნიჭის, გასაოცარი შრომის მოყვარეობის, შესანიშ-  
ნავი ერუდიციის და მდიდარი მუშაობის გაშლას და  
განვითარებას, და მარტივად, ხოლო მკეთრად გა-  
დაუშალა მსმენელთ ნ. მარის ცხოვრება, რომელიც  
დაასურათა მეტად ცხოველი ეპიზოდებით. დაწვი-  
ლებით შეჩერდა მის სამეცნიერო მოღვაწეობაზე,  
რომლის უმთავრესი დამსახურება იაფეტურ თეო-  
რიის შემნა კი არაა, არამედ საისტორიო-სალიტ-  
რატურო გამოკვლევანი ქართულისა და სომხურის  
წარსულიდან, რომელთაც პირდაპირ ეპოქა შექმნებ-  
ს ჩვენს ლიტერატურაში. თავის არქეოლოგიური  
გათხრებით ანისში ნ. მარმა დაუდასხებელი სამსა-  
ხური გაუწია არა მარტო სომხური კულტურის გა-  
ცხობას. მან აღნარდა მთელი რიგი კავკასიელი ის-  
ტორიკოსი და ყველა ის მკვლევარი სასისტორიო და  
სალიტერატურო დარგში, რომელიც დღეს ამშვენე-  
ბეს ქართულ მეცნიერებას, თითქმის სულ ნ. მარის  
სკოლიდან არიან გამოსულნ. დასასრულ ე. თაყა-  
იშვილი შექნა ნ. მარის დამსახურებას კავკასიელ-  
თა ენების შესწავლასა და მათი ნათესავობის გამოკვ-  
ლევაში და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დიდი

მეცნიერი პრეტიიულადაც ცთილობდა კავკასიის  
ერთა დაახლოებისათვის შეექმნა მათი საერთო ან-  
ბანი და გამოენახა მათი საუზრიაროთ ერთი ენა—  
ასეთად მას ყველაზე უფრო მოხერხებულად მიაჩნ-  
და ქართული ენა.

პროე. ე. თაყაიშვილის შემდეგ იღავარაკა ბ. ივ.  
ზავრიელმა, რომელიც აგრეთვე დახლოვებით იც-  
ნობდა განსვენებულს მარს. თუ ე. თაყაიშვილმა ბუ-  
ნებრივად შეტი ყურადღება მიაქცია ნ. მარის მუშა-  
ობას ქართულ ისტორიასა და ლიტერატურაში, ბ.  
ზავრიელი ასევე უფრო შეჩერდა ნიკო მარის გამო-  
კვლევებზე სომხეთის ისტორიის და ლიტერატუ-  
რის საკითხებში. განმარტა იაფეტური თეორია და  
განსაკუთრებით გააცნო საზოგადოებას ნიკო მა-  
რის ჩამოსცლები უცხოეთში და აქეური მუშაობა  
(სხვათა შორის პარიზში ის რამდენიმე წლის გან-  
მავლინბაში პკითხულობდა ქართული ენის კურ-  
სებს და აქ გამოიცა ფრანგულად მისი ქართული  
ენის გრამატიკა), გაღმოვცა აგრეთვე მეცნიერის  
ავადმყოფობის ამბები და უკანასკნელი დღეების  
აღწერა.

ორვე მომსხვენებელმა ერთმანერთი შეაგსეს და  
საზოგადოებას გადაუშალეს წინ არა მშრალად აწე-  
რილი ცხოვრება ნ. მარის, არამედ მისი ცოცხალი  
სახე—მისი მდიდარი ბუნება, დაუშრეტელი ენგრგი-  
ოთ აღსავს სამეცნიერო მოღვაწეობა, მისი დიდი  
დამსახურება.

დამსტრე საზოგადოებამ დიდის ხალისით და ყურადღებით მოისმინა ორივე მოხსენება. მოხსენებები სამ საათზე მეტს გავრცელდა, მაგრამ ყურადღება ერთ წუთსაც არ შეძლოს ტებულა, დალლილობა არავის უგვრძნია და პირიქით ბეჭედს უკმაყოფილება ეტყობოდა, რომ დროის უქანლობისა გამო არ შეიძლებოდა ფრიად საინტერესო შოხსენებათა გაფრთხოვება და გაგრძელება.

36. 66063030

ხოტინში (რუმინია) გარდაიცვალა პროკ. ჩეგნ-  
კელი. განსვენებული დიდი ომისა და რევოლუციის  
დროს ბესარაბიაში მსახურებდა და როცა ბესარა-  
ბია რუმინიამ შეიერთა, დარჩა იქ, მიიღო ნოტარი-  
უსის ადგილი და კარგი ნდობა და პატივისცემა  
ჰქონდა დამსახურებული ადგილობრივ მკვიდრთა  
შორის.

ერთ დროს პრ. ჩხერიალი იყო გაზ. «განთიადის» რედაქტორი.

## შ ც ხ ლ ე თ ი ს გ ი მ რ ხ ი ლ ვ პ ა.

შ ი ს კ ი დ ა.

ამ ორ-სამ თვეში იმდენი რამ მოხდა ეგროპაში, იმდენი საყურადღებო, თვებრუ-დამსხმელი ამბები, რომ მათი მბობა, დაფასება, რა თქმა უნდა, მიუწ-დომელია უბრალო მიმოხილვაში. მარტი დასხელება: რომი, ლონდონი, ბერლინი, მოსკოვი, ვარშავა, სტრეზა, უენეცა, — სრულიად საკმარისია, რომ მკითხველი მაშინვე დაგვეთანხმოს ამაში. მას კი აინტერესებს, პირველ რიგზე, რა კაშირია კულტა ამ ამბებსა და საბჭოთა ერებს შორის, რას უნდა გამოელოდე ესენი აქედან, გაუკეთეს და თუ გაუარესდება მათი მოვომარეობა, გაადგილდება თუ გაძენ-ლდება არარუს ერთა, უწინარეს ყოვლისა, კავკასიის და მათ შორის ჩვენი მრავალწამებულ ქართველ ერის გამათავისუფლებელი ბრძოლა. ჩვენ იძულებული ვართ აღიაროთ, რომ არარუს ერებზე სულ არავინ ფიქრობს, ყოველ შემთხვევაში, პრაქტიკულათ; პირიქით, ევროპა ივიწყებს სახელშაც: საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს და მის მაგიერ უბრუნდება ძველ სახელწოდებას: რუსეთი, რუსის ხალხი, თითქ სხვანი არც კი არსებობენ!

მაგრამ რუსეთი და რუსის ხალხიც უფრო სიტყვის მასალაა, თვალები მიპყრობილია მოსკოვისკენ. კიდევ უფრო კონკრეტულათ — კრემლისკენ და იქ მაღამში სტალინისკენ. ტყუილა კი არ დაუდო პირბად დიდი ბრიტანეთის «კერძო ბეჭდის ლორდმა» იდენა მის მიმპატიუდებლო, რომ ის ჩაიგიროთა მოსკოვში, თუ სტალინს ანახედოდნენ. სტალინი თავის უნიფორმში — ებლა აიტატორები კულა უნიფორმშია — მართლა არა თუ ეჩვენა პატივცემულ ლორდს, არამედ ორჯელ, სამჯელ ემუსაიფა მას საფუძვლიანათ, და ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ სტუმარმა ჩაიღაპარა თავის ამაღაში — ეს ქართველი კი არა ინგლისელი უნდა იყოსო! დეკორუმიც ისე იყო დაცული, რომ საიმპერატორო მიღებანი მონაგონია: ბალი, ბანკეტი, თეატრი, ავიონები და კიდევ ვინ იცის რა. ლიტვინოვს ხომ «თავისი» ვილაც ალმარწდა მოსკოვიდან მოშორებით, საგარეო მინისტრები ბჭობდნენ, საღვევრებელოსაც მიირთმევდნენ, ლიტვინოვი — მის უდიდებულესობის ინგლისის მეფის, იდენი — სტაროსტა კალინინის თუ მოლოტოვის, ეს სულ ერთია, მხოლოდ უპათ სტალინი დავიწყებულ იქნა — გორელები ვერ მოითმენენ ასეთ შეურაცხებას —, მათ ხომ ვერ დაჯერებთ, რომ მათი სხსო მხოლოდ პარტიის მდივანია და გოტის ალმანახში არა ჯერ შეტანილი.

ბოლოს «კომუნიკეცია» გამოაცვეყნეს — ასეა მიღებული — ძალიან გრძელი, ხოლო დედა-აზრით მსუბუქი, გვრნია მიხვდი, დაიჭირე, გაგისტება, რეგორც ვერცხლის წყალი. რა თქმა უნდა, ქათინაურები რამდენიც გინდა, გულითადი, მეგობრული ხასიათი დაბრაზობათა ხაზგასმით არის აღნიშნული არა ერთხელ, ისიც კია ნათქვამი, რომ დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის შეურიცებული წინაამდეგობანი მსოფლიოს არც ერთ კუთხში არ არსე-

ბობსო, მაგრამ რაც მოსკოვს ასე აინტერესებდა — აღმოსავლეთის პაქტი —, მას თუმცა აუცილებელ საშუალებად აღიარებენ მასპინძლები საკოველთაო ზავის დასაცავათ, მაგრამ სტუმარი ლორდი სტუმს — ეს ლონდონის კაბინეტის კომბეტენციას შეადგენს. ხოლო როცა იდენი ვარშავაში ჩავიდა, უკეთ გაზომა, რომ ასეთი პაქტი ზღაპარია, რადგან პოლონეთი ჯერ ისე არ შეზარბოშებულა, რომ წითელ არმიას ფეხი დაადგევინოს თავის ტერიტორიაზედ, მერე თქვენ კი გაიყვანთ მას აქედან? — კითხა თურმელორდს მარშალმა. ლორდს არაფერი დარჩენა მოსკოვის გეგმიდან, გარდა ხიზილალასი, რომელიც ავინონში აუჯანცდა და ლოგინად დაწვინია.

პეტიონსაც მოუვიდა ერთხელ ასე, მაგრამ მისი მისისია უფრო ნაყოფიერი გამოდგა. პარიზი აწერს პაქტზე და ხელს მოსკოვთან, ეს ცერემონიის უნდა მომხდარიყო ჩქარა მოსკოვში, ლავალის დასახელდრათ ყველაფერი მზათაა, ზემომ რაღაც არახევულებრივი მზადდება იქ. მაგრამ საქედ შეფერხდა მოულოდნელათ, შემდეგ ისევ გამოასწორეს ლავალმა და ლიტვინოვმა უკვენაში, ასე რომ უკანასკენელი პარიზში უნდა ჩამოსულიყო, საუზმეც შეკვეთილი იყო სამინისტროს სასახლეში, და გაკვირვებული ვკითხულობთ — ლიტვინოვმა მოსკოვში დურთაო! რაშია საქმე, რა მოუვიდათ?

ამისათვის სტრეზის თათბირის მონაწილეთ უნდა შეეკითხოთ. მათ კომუნიკეციი ინგლისის და იტალიის პრემიერები აცხადებენ, რომ ისინი ლოკანოს პაქტს ეხლა კიდევ უფრო, ვინემ წინეთ, დასავლეთ ევროპის მშვიდობიანობის ქვაკუთხედად სთვლიან. როგორც ვიცით, ინგლისი და იტალია ვალდებული არიან მიემველონ საფრანგეთს და ბელგიას, თუ გერმანია დასხსა მათ; და წინაუმ-უნდა მიემველონ. გერმანიას, თუ საფრანგეთი დაესხა. სტრეზის შემდეგ პარიზში დასხა კითხვა, როგორ გავლენას მოახდენს ლოკანოს პაქტზე მოსკოვის პაქტით, გსოვნათ, გერმანია დაესხა საბჭოთა კავშირს, გალდებულია თუ არა საფრანგეთი გერმანიას მიუხდეს? თუ მიუხდა, გის უნდა დაეხმაროს ინგლისი და იტალია? თავდამსხმელი საფრანგეთია, მაში გერმანიას უნდა მივეუველოთო — ასე რომ სთვენა, ხომ დავილუპეთო — ამბობენ ფრანგები. მართლაც, მოსკოვის პაქტი არაა საგალდებულო ლონდონის და რომისათვის, რატომ უნდა მიემველონ საფრანგეთს, როცა ის თვითონ ესხმის გერმანიას მოსკოვის საშელათ? პირველათ ეგონათ, თუ ვიტუკით პაქტში, რომ ერთი-მეორის მიშველება უნდა ხდებოდეს, როცა ერთა ლიგის საბჭო ვერას გახდება, კულტა რი რიგზე იქნებათ. მაგრამ ამას არ სჯერდება სწორეთ მოსკოვი, ის მოითხოვს დაუყონებლივ, აგრძელიტო მიშველებას, ან უკეთ — ძველი სამხედრო ალიანსის ალდეგნას!

ასე თუ ისე, პაქტს მაინც დასდებენ, ლავალიც წაგა მოსკოვში ხელმოსაწერათ, ისე შორს შესცურეს, რომ დახვევა გვირანაა. 16 მარტს გერმანიის მიერ ვერსალის სამხედრო მუშლების წალიამ ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ სხვა გამოსავალი თითქ არ დარჩენიათ. საფრანგეთში ეხლა არ

არის მიმართულება, რომელიც მხარს არ უჭერდეს მოსკოვთან ხელშეკრულების დადგბას, მემარჯვენენი, მემარცხენი, კომუნისტებიც, რა თქმა უნდა. ერთი კათოლიკე გაზეთი ეკითხება კომუნისტებს: მზათ ხართ თუ არა შეაჩეროთ კამპანია ჩვენი ჯარების წინამდებარები, ისინი ხომ ეხლა წითელი ჯარების მოკავშირენი არიან? გაზეთმა ალბათ არ იცის, რომ ამ კითხვით სტალინს უნდა მიმართოს, კაშენი მისი «საპატიო კაზაკია».

ამრიგათ, ნამდვილ მოსკოვიადას განვიცდით. ერთი ავიტყდებათ, ასეთი სულისყველება გერმანიამაც გამოსუადა ბრძესტ-ლიტვოსკის წინ და შემდეგ, როცა მოსკოვის აგენტები დათარებულებდნენ ყველაგან და გულუბრიყვნ ბიურგერის თვალწინ ბოლშევიკურ გადატრიალებას ამზადებდნენ. გვახსოვს, ორჯონიშვილი სპეციალურათ მიუვლინეს ბერლინს, რათა სათავეში ჩადგომოდა მოძრაობას. პარიზის ბურჟუაზი არ არიან ასეთი გულუბრიყვნილონი, გამოცდილება მეტი აქვთ, მაგრამ სიტრთხილეს თვით არ სტკივა.

პაქტები ვერ იხსნის მოსკოვის მედროვეთ, იმიტომ ვერ იხსნის, რომ უმისოთ მათ თვის სსნაც ვერ წარმოუდგენიათ. რად შეისძლენ ასე, რატომ განიცდიან პანიკა? მაგარი და ძლიერი სხვას კი აռ ესვე-წება პაქტს, არამედ მას თვითონ ეხვეწებიან. მაგ ძნელი არა გამოცნობა, რა ბოლო მოელით მტარვალთ.

## საერთო ენა ჩრდილო კავკასიისთვის

როგორც უველამ უწყის, ჩრდილო კავკასიის მკვიდრი ერები და ტომები თუმცა ერთი მოდგმის არიან და ერთმანეთს ძალიან უახლოვდებიან, მაგრამ რამდენსამე ენაზე ლაპარაკობენ, ხშირად ცალკე სოფელსაც კი საკუთარი ენა თუ კიღლო აქვს. ეს გარემოება უეჭველია ძლიერ აბრკოლებს მათ გაერთიანებას და ხელს უშლის მათ პოლიტიკურს თვითარებობას და კულტურულ წარმატებასაც. ამ საკითხს დიდ ყურადღებას აქცევენ თვით ჩრდილო კავკასიონები და ექვებნ რაიმე გამოსავალის პოვნას. როგორც სჩანს საბჭოთა ფარგლებშიც არიან ამით დაინტერესებული მოიღები და სხვადასხვა ყრილობებზე მსჯელობა პქონდათ: მეტად მცირე ნაწილი ანგარიშს უწევს ფაქტურ ვითარებას და საერთო ენს უფლებას ანიჭებს რუსულს, ხოლო დიდ უმრავლესობას საუკეთესოდ მიუჩინება თურქულის მიღება ჩრდილო კავკასიელ ერებისთვის საერთო ენად.

საერთო ენის ძებნამ გამოხმაურება პპოვა ემიგრანტულ პრესაშიაც და მთიელთა სახალხო პარტიის ორგანომ «სევერნი კავკაზ». მას ასკითხს რამდენიმე წერილი უძღვნა. ყველა თითქმის ერთხმად ალიარებს, რომ თუ ჩრდილო კავკასიის არ ექნა ერთი საუზრიოებო და საერთო კავკასიის ალიარების, რომ თუ ჩრდილო კავკასიის არ ექნა ერთი საუზრიოებო და საერთო კავკასიის იქნება უზრუნველყოფილი. რუსული ენის გაბატონებას არავინ ემხრობა, რასაკვირველია. რადგან ეს იქნებოდა ჩრდილო კავკასი-

ელთა სრული გადაგვარება და ყოველ თავისუფალ არსებობაზე ხელის ადგება. ზოგნი ფიქრობდნენ, რომ საერთო სახელმწიფო ენად ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკისათვის უნდა შეიქნება ერთ ერთ ადგილობრივი ენა და ეს უნდა მოხდეს ნერნელა თავისუფალ გაჯიბრებისა და შერჩევის წყალობით. მაგრამ უფრო მეტი მომხრე ჰყავს რომელიმე გარეშე ენის შემოღებას საერთო ენად, ვინაიდან ადგილობრივი ენები მიაჩნიათ მეტად ჩამორჩენილად და განუვითარებლად და გარდა ამისა ფიქრობდნენ, რომ ამა თუ იმ ადგილობრივი ენის არჩევა გამოიწვევდა დის განხევებისა და დარღვევებს. გარეშე ენის დამცველთა შორის ერთო (მ. ტ.) მოითხოვენ, რომ საერთო ენის უფლება მიენიჭოს თურქულის ერთ-ერთს კილოს, სახელდობრ ყუმისურს, რომელიც ისედაც საკმაო გავრცელებულია მთელ ჩრდილო კავკასიაში და ერთგვარი ისტორიული ტრადიციებიც აქვს. როგორც სჩანს, ამ აზრს ჩრდილო კავკასიელთა შორის ძალიან ბევრი იზიარებს. ზოგიერთებს (ა. ქ.) კი სრულიად მიუღებლად მიაჩნიათ თურქული ენა. რომელი თურქულია? პითხულობენ ესენი: თურქული ენა ჯერ დადგენილი არაა, მის კილოკავებს შორის ყველაზე უფრო დაწინაურებულია სტამბოლური, მაგრამ საერთოდ ისიც ლარიბია და ჩვენც ვერაცერს მოგვცემს. ამიტომ გაცილებით უმჯობესია: ჩრდილო კავკასიელებმა რომელიმე ევროპიული განვითარებული ენა შემოვიღოთ საერთო სახელმწიფო ენად და ეს იმის საშუალებასაც მოგვცემს, რომ გამოვიყენოთ მთელი ის მდიდარი ცოდნა, რომელიც ამ ენაზე არსებობს.

ასე დგას ამ ეამად ჩრდილო კავკასიის საერთო ენის საკითხი, რომელსაც ალბად ჯერ კიდევ ბევრი დისკუსია და დრო დასჭირდება, მაგრამ რომლის ჯეროვან გადაჭრას უეჭველია უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო თვით ჩრდილო კავკასიელებისთვის, არამედ მათ მეზობლებისა და მოკაზშირებისთვისაც.

## გ ი ბ ლ ი ლ ი ლ ა ზ ი ა

მიმღინარე წლის თებერვალში ქ. ვარშავაში გამოვიდა პოლონურ ენაზე პოლონელენიკ გ. თეგზაძის წიგნი: «კავკასია»—გეოგრაფიულ-აღწერილობითი მიმახსოვლა. წიგნი კარგი ენით დაწერილი საშვალო ფორმატისა შეიცავს 106 გვერდს და დართული აქვს სათანადო ფერადებით სპეციალურათ დამუშავებული საუცხოო მოზღვილი რუკა, რომლის დამუშავებას ავტორმა (სხვათა შორის ადარბშიაც ავტორი სპეციალისტია) წიგნის შეღებენასთან ერთად დიდი დრო მოანდობა, რომ მიეცა მისთვის რიგონალური სახე. ორიგინალობა გამოიხატება იმაშიაც, რომ დაბაქალაქების სახელწოდება წარმოდგენილია ადგილობრივ ერების გამოთქმით პოლონურ გამოთქმასთან ერთად. წიგნი გამოცემულია სამხედრო გეოგრაფიული ინსტიტუტის მიერ. მკითხველი წა-

რომიდგენს, რომ ასეთი სერიოზული ინსტიტუტი წიგნს ღირსეულად გამოსცემდა.

რაც შეეხება ავტორის შრომას დაწიგნის ღირებულებას მეცნიერულის, კულტურულის თუ პოლიტიკურის (პროპაგანდის) მხრით უნდა ვთქვა, რომ პოლონელ ენაზე ის იმშვითი მოვლენაა. ესეც საყურადღებოა რომ წიგნის გამოსვლა მოყვა კავკასიის კონფედერაციის პაქტის დიდებას.

ამ სტრიქონების დაწმური თვალყურს ადევნებდა ავტორის მუშაობას. ბ. თევზაძე საკითხს მიუღა სერიოზულად. არ დაიშურა დრო და ხარჯი, რომ საკმაო მასალები დაეგროვებია და დაემუშავებია.

სამწუხაროთ დრო ხელს არ გვიშეობს წიგნი დაწვრილებით განვიხილოთ, ვეცდებით მას დაუბრუნდეთ; ამ უამათ აღვნეს ხავთ, რომ არამც თუ უბრალო პოლონელ მკითხველისთვის, არამედ მეცნიერულ-კულტურულ წრისთვისაც კი ძვირფასი და საინტერესოა.

გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ ცნობებთან ერთად ავტორი იძლევა დღევანდელ აღმინისტრატულ (ბოლშევიკურს) დაყოფას, ცხადია შესწორებით, სადაც ეს ტენდენციურია.

ავტორი ეხება აგრეთვე კავკასიის ერთ ერთ ფერატიულ სახელმწიფოთ ჩამოყალიბების პირველ ცდას, როგორც შედეგს 1917 წლის რევოლუციის და მის დრამატიულ დამთავრებას.

ბ. თევზაძე, როგორც მხედარი და ისიც უმაღლესი სკოლის, თავის შრომაში, ბუნებრივა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კავკასიის სტრატეგიულ მნიშვნელობას და მის, როგორც სახელმწიფო ბრძოლივი ერთეულის, სამხედრო დაცვის საკითხს. დაწვრილებით აცნობს მკითხველს მის იშვიათ ბუნებრივ სიმაგრეებს შესამჩნევი ყელებით და ცათ აშევრილ მთებით შეკრულს ჩრდილოეთ-სამხრეთიდან და ზღვებით აღმოსავლეთ-დასავლეთიდან. წინ გვიშლის შესაძლებელ ომებს, გულდასმით იხილავს ამ საკითხს და ითვალისწინებს ამა თუ იმ პირობებში ამა თუ იმ შესაძლებლობას. წიგნის ეს ადგილი და საზოგადოებრივი ეს საკითხი განსაკუთრებულ ყურადღების და შესწავლის ღირსეულის ჩვენი კავკასიის მხედრების მიერ, რომელთა აზრი და გონიერა მიმართულია მომავალ თავისუფალ კავკასიის დაცვის საკითხისავენ. ავტორი, მიუთითებს რა სტრატეგიულ პუნქტებს, იძლევა წინა ხაზებს, სადაც უნდა მოხდეს როგანიზაცია კავკასიის დაცვისა.

წიგნში დართულია საქართველოს სამხედრო გზის ლამაზი ფრაგმენტები და მოკლე შინაარსი ფრანგულ ენაზე.

განაბერი.

### ბორბოში დაარსებულ «კავკასიელთა წრეში»

წაკითხულ იქნა მოხსენებათა მთელი ციკლი, კავკასიის ერთა ისტორიის ირგვლივ. მოხსენებანი იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ აუდიტორია მთელის ინტერესით და შეუწყვეტელის ყურადღებით ისმენდა რამდენიმე საათობით ვრცელ რეფერატებს.

ამ მოხსენებებმა ცოტათი მაინც შევავს ჩვენი დოდი ნაცლი: სამშობლოს წარსულს ბევრი ნაცლებად ვიცნობთ.

მოხსენებელინი ხანგრძლივად შეჩერდენ საქართველოს ისტორიის განხილვაზე უძეველესი ხაიდან და დღევანდველ ასტებობის პირობების შესწავლაზე.

16 მარტს ამავე წრის თაოსნობით გამართულ იქნა ფრანგულ-ქართული დაახლოების საღამო, რომელსაც დაესწრებ სხვათა შორის საქართველოს საუკეთესო მცოდნე და დამცველი ფრანგი პროფესორები: პატივცემული პროფეს. ლაფონ (Lafon) და პროფეს. რუსო და პოლონეთის საელჩოს წარმომადგენელი.

o. ბორბოველი.

### ზერილი რედაქციის გიმართ

ბატონი რედაქტორი:

ნება მოგვეცით თქვენი გაზიეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა მივუძლვნათ ყველა იმათ, ვინც პირადად თუ წერილობით სამძიმარი გამოვიცხადა ჩვენი საყვარელი და დაუვიწყარი მამის, სიმამრის და პაპის მიხეილ ნაკაშიძის გარდაცვალების გამო, და მით გვანუგება მძიმე მწუხარებაში.

ნები და სიმღებ მდიღვნები შვილებითურთ.

### ზართული რვის

გადავიდა ახალ ბინაზე:

38 rue Boileau, Hameau Boileau. მეტრო № 8: საღურები Chardon-Lagache ან Molitor.

ოფისი ლია ნაშუადლევის 3-დან 6 საათამდის.

გამოვიდა ახალი წიგნები,

დ. ხელაძის გამოცემა.

პ. პანდელაძი:

საქართველოს ეროვნული მუზეუმისა.

ფასი 10 ფრანკი.

ს. ფირცხალავა:

ავგავთა და სამავთა გოლოდინში.

ფასი 5 ფრანკი.